ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტაზე წერილი ჩაბარდა



გვ.2

პარასკევი, 13 ნოემბერი, 2015 №267 (6887) ფასი: 50 თეთრი

# „თინა, ჯარს მიხედე, სანამ მაგ სამინისტროდან გამოგათრიე!“

ირმა ინაშვილი თინა ხიდაშელს ემუქრება



გვ.3

## პრემიერი პატრიოტთა ალიანსს შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდებს







გვ.3

## გია ხუხაშვილი: „ეს ხელისუფლება დამარცხებისთვის არის განწირული“

„მაინტერესებს, რანაირად გამოასახლებენ პრეზიდენტს, სპეცრაზმით შეუცვივდებიან?“

## სასამართლომ ნიკა გვარამია რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორად დააბრუნა



გვ.2

რუსთავი 2-ის გარშემო საინტერესო ამბები გრძელდება

## ვახტანგ ხმალაძე: „საკონსტიტუციო სასამართლოს მიკერძოებულობის საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს“



გვ.4



გვ.5

## მანანა ნაჭყებია: „მარგველაშვილს ავლაბრის რეზიდენციის დატოვება არ მოუწევს“

## წავა თუ არა მსოფლიო ბანი პოლიტიკაში



გვ.2



გვ.4

## შოთა მალაშხია: „ივანიშვილის მომსახურების ბიუროზე მოსახლეობამ უარი უნდა თქვას“

## გომელაური საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

ISSN 1987-9385
9 771987 938006



გვ.4



გვ.6

## პედაგოგებს ხელფასს აპრილიდან გაუზრდიან

# სასამართლომ ნიკა გვარამია რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორად დააბრუნა

## რუსთავი 2-ის გარშემო საინტერესო ამბები გრძელდება

გუშინ, 12 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დავით დვალის დროებით მმართველად დანიშვნის თაობაზე სასამართლოს 5 ნოემბრის განჩინება გააუქმა, ხოლო რევაზ საყევარიშვილის ნაწილში ძალაში დატოვა.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ დროებითი მმართველის მიერ თავისი ფუნქციის შეუსრულებლობის შემთხვევაში იქმნება ვაკუუმი შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის საქმიანობაში, რადგან წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს უფლებამოსილება შეჩერებული აქვთ.

შესაბამისად, სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ლევან ყარამანიშვილის, გიორგი ყარამანიშვილისა და შპს „ტელეკომპანია საქართველოს" წარმომადგენლების საჩივარი და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 ნოემბრის განჩინების კანონიერ ძალაში შესვლამდე უფლებამოსილება აღუდგინა საწარმოს წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს – ყოფილ მენეჯმენტს.

რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ მოსამართლე თამაზ ურთმელიძის განჩინება საკონსტიტუციო სასამართლოს შეცდომაში შესაყვანად ხრიკი უწოდა.

გვარამიამ განჩინების შეფასებისას განაცხადა, რომ ურთმელიძის ეს გადაწყვეტილება მიმართულია იმისკენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არ გააუქმოს ის ნორმა, რომლის შესახებაც მსჯელობს.

მისივე თქმით, ურთმელიძის გადაწყვეტილება არის იმ დაბურული ულრანი ტყის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოსამართლე ურთმელიძემ ამ საქმესთან დაკავშირებით შექმნა.



– სრულიად გაუგებარია ეს გადაწყვეტილება. ჯერ ერთი, რა საჩქარო იყო, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის კონსტიტუციურობასა და შეჩერება-არშეჩერებაზე მსჯელობს. მე გეტყვით, რატომაც იყო საჩქარო: ამ გადაწყვეტილებისთვის მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოზე გაჟღერდეს – უკვე აღარ არის ზიანის საფრთხე და, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს დაუსაბუთონ, რომ ნორმები არ უნდა შეჩერდეს, იმიტომ რომ პრობლემა ამოწურულია, – აღნიშნა გვარამიამ.

ის მიიჩნევს, რომ დროებითი მმართველობიდან რევაზ საყევარიშვილიც უნდა გაეთავისუფლებინათ, რადგან საყევარიშვილი არის მიკერძოებული და იმავე საფუძვლით, რომლითაც დავით დვალს დროებითი მმართველის უფლება შეუჩერდა, მის მიმართაც უნდა შეჩერებულიყო.

მისივე თქმით, დავით დვალი, მიუხედავად მისდამი არაკეთილგანწყობისა, ღრმა შეცდომაშია შეყვანილი, ხოლო საყევარიშვილის გეგმები ცნობილია.

– ამ განჩინებით დვალი საერთოდ განარიდეს პროცესებს და ვულოცავ, იქნებ გადარჩეს. დატოვეს საყევარიშვილი, რომელსაც არანაკლებ საფუძველი აქვს მიკერძოების, რადგან ჩვენი მთავარი კონკურენტის წარმომადგენელია. ის რამდენიმე დღით ადრე გადადგა გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან, თუმცა დღემდე ხედავენ მას ტელეკომპანია იმედში. ეს ადასტურებს, რომ მან იცოდა, ასეთი განჩინება იქნებოდა გამოტანილი. ეს ადამიანიც მიკერძოებული იყო და იმავე საფუძვლით ისიც უნდა გაეთავისუფლებინათ, – განაცხადა გვარამიამ.

რაც შეეხება კომპანიის ფინანსურ მმართველობას, როგორც გვარამიამ აღნიშნა, კომპანიის ფინანსური მართვა უწევს იმას, ვისაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით ეს უფლებამოსილება აქვს დაკისრებული.

– ეს ადამიანები არიან დავით დვალი და რევაზ საყევარიშვილი. მათ ამის გაკეთება შეუძლიათ დისტანციურად. რამდენიც არ უნდა იქილიკონ დისტანციურ მართვაზე, ოდესაზე და ა.შ. ამის უფლებამოსილება აქვთ. მათ აქვთ სრული წვდომა ჩვენს საბანკო ანგარიშებთან, ჩვენს საგადასახადო ბაზებთან. ჩვენ ეს წვდომა არ გაგვაჩნია, კეთილი ინებონ და თავიანთი ვალდებულება შეასრულონ. თუ არ მოხდება გადასახადის დეკლარირება და მისი გადახდა დროულად, ეს იძლევა დანაშაულის შემადგენლობას. 50.000-ს აღემატება და, როგორც კი ამ თანხას სცდება, საგადასახადო დარღვევიდან სისხლის სამართლის დანაშაულში გადადის, – აღნიშნა გვარამიამ.

* * *

გუშინ, 17:57 საათზე, რევაზ საყევარიშვილმა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრს მოსამართლე თამაზ ურთმელიძის მიერ მიღებული ბოლო გადაწყვეტილების რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა, რომლის თანახმადაც, რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიასა და ფინანსურ დირექტორ კახა დამენიასათვის უფლებამოსილების აღდგენა უნდა მოხდეს.

ინფორმაცია ამის შესახებ საჯარო რეესტრის ვებგვერდზე განთავსდა. ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, რეესტრმა ეს დოკუმენტი ერთი სამუშაო დღის განმავლობაში უნდა დაარეგისტრიროს და, თუ პასუხი დადებითი იქნება, მაშინ ნიკა გვარამიასა და კახა დამენიას უფლებამოსილება დღესვე აღუდგებათ.

* * *

მოსამართლე ურთმელიძის განჩინება გუშინ ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა პაატა სალიამაც შეაფასა.

მან თქვა, რომ მისი გასაჩივრების გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

– ჩვენც გვაქვს ამის გასაჩივრების შესაძლებლობა და უნდა გავეცნო და დეტალურად ხვალ შემეძლება გითხრათ ჩემი პოზიცია, მით უმეტეს, რომ ჯერ უნდა შევათანხმო ჩემი პოზიცია ჩემს მარწმუნებელთან, მით უმეტეს, რომ დროებით მმართველებს შეეძლოთ, წარედგინათ დეკლარაცია არსებული მონაცემების შესაბამისად და შემდგომ, თუ დასაზუსტებელი იყო, დაეზუსტებინათ.

ნებისმიერ შემთხვევაში, იქნებიან ეს კომპანიის დირექტორები თუ დროებითი მმართველი, 15 ნოემბერს უნდა წარადგინონ საგადასახადო დეკლარაცია იმისთვის, რომ კომპანია არ დაზარალდეს, – განაცხადა პაატა სალიამ.

# სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტაზე წერილი ჩაბარდა

მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ დასკვნა საქართველოს პრეზიდენტს დეკემბრის პირველ რიცხვებში წარედგინება. ამის შესახებ ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა



თეა წულუკიანმა იმ კითხვის საპასუხოდ განუცხადა, თუ რა ეტაპზეა მიხეილ სააკაშვილის მოქალაქეობის შეწყვეტასთან დაკავშირებით პროცედურები.

როგორც იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილს წერილი რამდენიმე დღის წინ ოდესაში ჩაბარდა.

**თეა წულუკიანი:**

– აქედან აითვლება ოთხკვირიანი ვადა იმისთვის, რომ მან, როგორც ეს არის ქართული კანონით დადგენილი წესით, ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია წარმოადგინოს. დეკემბრის პირველ რიცხვებში ჩვენ უკვე შეწყვეტის შესახებ დასკვნას წარვუდგენთ საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, – განაცხადა წულუკიანმა.

კითხვაზე, მოქალაქეობის შეწყვეტის შემდეგ რა პროცედურებია პარტიულ საქმიანობასთან დაკავშირებით, თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ პარტიები თვითონ წყვეტენ, ვინ იყოს წევრი, მაგრამ „არის პირობები, რომლებსაც პარტიის ხელმძღვანელი თუ პარტიული მუშაკი უნდა აკმაყოფილებდეს".

**ინტერპრესნიუსი**

# პაატა ბურჭულაძემ და ვანო მაჭავარიანმა ერთობლივი ფონდი შექმნეს

## წავა თუ არა მსოფლიო ბანი პოლიტიკაში

შორენა მარსაგიშვილი

ხმები პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში მოსვლის შესახებ დიდი ხანია, ვრცელდება. ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს იმაზეც საუბრობდნენ, რომ სააკაშვილის ვადის ამოწურვის შემდეგ პრეზიდენტის პოსტზე მის კანდიდატურას წარადგენდნენ. ეს ინფორმაცია მსოფლიო ბანმა მაშინ დიდ შეურაცხყოფად მიიღო და განაცხადა, რომ პოლიტიკა მის გეგმებში არ შედიოდა.

მისმა გვარმა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინაც გაიჟღერა. ამბობდნენ, რომ ის უნდა ყოფილიყო „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატი. გავრცელებული ინფორმაციით, მის კანდიდატურას მხარს საპატრიარქოც უჭერდა. ბურჭულაძემ ეს ინფორმაციაც უარყო, მეოცნებეებმა კი საპრეზიდენტოდ მარგველაშვილი არჩიეს.

მიმდინარე წლის ზაფხულამდე მისი გვარი პოლიტიკასთან არავის დაუკავშირებია. ამ ზაფხულს ამ თემაზე აქტიურად ალაპარაკდნენ. ბურჭულაძე ისევ უარყოფდა ინფორმაციას. გუშინ, 12 ნოემბერს კი ეს ამბავი სანახევროდ დადასტურდა.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – პაატა ბურჭულაძე – საქართველოს განვითარების ფონდი, 2015 წლის 30 ოქტომბერს დარეგისტრირდა.

ამავე მონაცემებით, ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა პაატა ბურჭულაძე. წევრები არიან: ივანე მაჭავარიანი, მერაბ ტყეშელაშვილი, ირაკლი გურჩიანი. ივანე მაჭავარიანი აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობასაც იკავებს.

ფონდის წევრები ასევე იქნებიან იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე დავით ჯანდიერი, ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე და ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრი გიორგი რუხაძე.

ცოტა ხნის წინ ბურჭულაძემ ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში განაცხადა, რომ გამსახურდიათი დაწყებული, მას პოლიტიკაში მოსვლას ყველა ლიდერი სთავაზობდა, მაგრამ იგი არ დათანხმებულა, თუმცა ამავე ინტერვიუში ბურჭულაძე არ გამორიცხავს, რომ მომავალში სხვაგვარად მოიქცეს.

– თუ საჭირო იქნება და ვიგრძნობ, რომ სხვა ამპლუაში ვჭირდები ჩემს ქვეყანას, აუცილებლად გადავდგამ ამ ნაბიჯს, – ამბობს ინტერვიუში ბურჭულაძე.

მისივე თქმით, ამ გადაწყვეტილებას პატრიარქის ლოცვა-კურთხევის გარეშე არ მიიღებს.

ბურჭულაძის ახალ ფონდს „საქართველოს განვითარებისთვის" ჰქვია. ფონდის თანადამფუძნებელი ვანო მაჭავარიანი აცხადებს, რომ ის პოლიტიკურ პარტიად არ გარდაიქმნება.



# რომელ რესტორნებში ქეიფობენ დეპუტატები

საქართველოს პარლამენტის აპარატი ოფიციალური თუ სამუშაო ვიზიტით საქართველოში ჩამოსული სტუმრების გამასპინძლების მიზნით სხვადასხვა რესტორანთან რეგულარულად თანამშრომლობს.

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა ამ მიზნით 19 რესტორანთან ითანამშრომლა. მოწოდებული ინფორმაციით, სხვადასხვა სახის კვებითი/სარესტორნე მომსახურება აპარატმა ერთი წლის განმავლობაში 98-ჯერ შეისყიდა.

ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტის აპარატი ყველაზე ხშირად შ.პ.ს „კოპალასა" და სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფ ემ/გრუპთან" თანამშრომლობდა. კერძოდ, რესტორან „კოპალასა" და რესტორან „პურის სახლში" წლის განმავლობაში 57 ვახშმისთვის/სადილისთვის ბიუჯეტიდან, ჯამში, 131 296.53 ლარი დაიხარჯა.

**იმ რესტორნების სია კი, რომლებთანაც პარლამენტის აპარატმა გასულ წელს ითანამშრომლა, ასეთია:**

შპს. კოპალა – რესტორანი „კოპალა";
შპს. „რესტორანი ძველი მეტეხი" – რესტორანი „ძველი მეტეხი";
შპს. „ქალაქური სთარ" – რესტორანი „ქალაქური";
სს. „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი ემ/გრუპ" – რესტორანი „პურის სახლი";
შპს. „რესტორანი მუზეუმი გუჯარი" – რესტორანი „გუჯარი";
შპს. „ჯი ემ თი მთაწმინდა" – რესტორანი „ფუნიკულიორი";
შპს. „ძველი სახლი" – რესტორანი „ძველი სახლი";
შპს. „ხოხბის ცრემლები" – რესტორანი „ხოხბის ცრემლები";
შპს. „შატო მუხრანი" – რესტორანი „შატო მუხრანი":
შპს. „ძველი სიღნაღი" – რესტორანი „კაბადონი";
შპს. „ბერთო" – რესტორანი „რაჭის უბანი";
შპს. „საფერავი 2014" – რესტორანი „საფერავი";
შპს. „იმპერია" – რესტორანი „იმპერია";
შპს. „რაჭის უბანი" – რესტორანი „რაჭის უბანი";
შპს. „მეგრულ-ლაზური 2" – რესტორანი „მეგრულ-ლაზური";
შპს. „გარდენ" – რესტორანი „გრანდგრილი";
შპს. „კარიბჭე 2009" – რესტორანი „ოპიზარი";
შპს. „პიანო" – რესტორანი „პიანო";
შპს. „Piazza Management" – რესტორანი „მარკო პოლო";

**ნსპ.გე**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ხუხაშვილი: „ეს ხელისუფლება დამარცხებისთვის არის განწირული“

## „მაინტერესებს, რანაირად გამოასახლებენ პრეზიდენტს, სპეცრაზმით შეუცვივდებიან?“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ვერ შეძლებენ პრეზიდენტის გამოსახლებას, რატომ ასხამს „ქართული ოცნება“ ცეცხლზე ნავთს, რას უნდა ველოდოთ არჩევნებზე ხელისუფლებისგან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

***– ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ავლაბრის რეზიდენციიდან მარგველაშვილის გამოსახლებაზე კიდევ ერთხელ ალაპარაკდნენ. დეპუტატები ამ მიზნის მისაღწევად ლამის კანონის მიღებასაც აპირებენ. თქვენი აზრით, ეს ლაპარაკი ლაპარაკად დარჩება თუ საქმეზე გადავლენ?***

– იმედი მაქვს, რომ ეს საუბრებს არ გასცდება. ბიძინა ივანიშვილს, როგორც საქართველოს მოქალაქეს, აქვს უფლება, ჰქონდეს ასეთი აზრი და ამით არაფერი შავდება, მაგრამ, როცა ამ თემაზე ხელისუფლების წარმომადგენლებიც იწყებენ საუბარს, ეს უკვე პრობლემაა.

იურისტი არ გახლავართ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტის გამოსასახლებლად სამართლებრივი საფუძვლის მოძებნა ძალიან გაჭირდება და ეს ძალიან უხეშ პოლიტიკურ ფორმას მიიღებს. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს ყველაფერი სრული აბსურდია. აქედან გამომდინარე, არ ველოდები, რომ ამ მიმართულებით რაღაც ქმედებები დაიწყოს.

***– თუ მაინც გადავიდნენ გამოსახლებაზე, მაშინ რა მოხდება?***

– ძალიან მაინტერესებს, რანაირად გამოასახლებენ პრეზიდენტს, სპეცრაზმით შეუცვივდებიან? თუ რაღაც ქმედებები დაიწყეს, ეს დაადასტურებს, რომ ხელისუფლება ღრმა პოლიტიკურ და ინტელექტუალურ კრიზისში იმყოფება. მაინც იმედი მაქვს, რომ საქმე აქამდე არ მივა. ბიძინა ივანიშვილს ამ საკითხზე თავისი არგუმენტები აქვს, რაც გარკვეულ კითხვებს მიჩენს.

***– რა კითხვები გიჩნდებათ, ბატონო გია?***

– რჩება შთაბეჭდილება, რომ ყოფილი პრემიერი ვიღაცას შეცდომაში შეჰყავს. ვერაფრით გავიგე, საიდან მოაქვთ ის 10 მილიონი, რომელიც თითქოს პრეზიდენტის შენახვა ჯდება. სასაცილოა ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებები იმაზე, თუ რატომ არ ტოვებს პრეზიდენტი ავლაბრის რეზიდენციას. ყველაფერი იქით მიჰყავთ, რომ თითქოს მარგველაშვილი კომფორტისა და ფუფუნების მოყვარულია.

ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს ის იქ ცხოვრობს, რაც სიმართლე არ არის. პრეზიდენტი ცხოვრობს დუშეთში და ამის შესახებ ყველამ, მათ შორის ბიძინა ივანიშვილმაც იცის. მათ ისიც იციან, რა პირობებში ცხოვრობს ის. ეს გახლავთ პატარა ზომის სოფლის სახლი. ძალიან ბევრი ადამიანი, რომლებიც მას დღეს აკრიტიკებენ ფუფუნების სიყვარულის გამო, ასეთ სახლში არამცთუ არ იცხოვრებდა, ერთ ღამესაც არ გაატარებდა. ასე რომ, პრეზიდენტის დადანაშაულება კომფორტის სიყვარულში, რბილად რომ ვთქვათ, უსამართლობაა.

***– თუ ეს ყველაფერი ივანიშვილისთვის ცნობილია, რატომ ითხოვს ის დაჟინებით, რომ პრეზიდენტმა რეზიდენცია დატოვოს? რატომ აქვს მისთვის ამას ასეთი პრინციპული მნიშვნელობა? ზემოთ კი თქვით, შეცდომაში შეჰყავთო. მხოლოდ ეს არის მიზეზი?***




**მართლა მოხერხება უნდა იმას, რომ პარტია, რომელიც დემოკრატიული ანტურაჟის შექმნაში დაგეხმარა, ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიკიდო**

– შეიძლება, მან ისეთი რაღაც იცის, რაც საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. ჩვენ რა არგუმენტებსაც ვისმენთ, ეს არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ საკითხი ასე მწვავედ დადგეს. თუ რამე დამატებითი არგუმენტები აქვს, აუცილებლად უნდა გაგვიზიაროს. უკვე დროა, ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს. ამაზე ლაპარაკს ურჩევნიათ, მოშიმშილეების მიმართ ცოტა მეტი ყურადღება გამოიჩინონ.

***– სახელმწიფო კანცელარიასთან პატრიოტთა ალიანსის წევრები შიმშილობენ და მათ წვიმაშიც კი არ მისცეს კარვებისა და ქოლგების გაშლის საშუალება. ეს რაზე მიუთითებს?***

– ძალიან ცუდია, საქმე შიმშილობამდე რომ მივიდა. პროტესტის ეს ფორმა ცივილიზებულ პროცესზე არ მეტყველებს. პირადად მე ძალიან მაწუხებს ის პირობები, რომელიც დღეს მოშიმშილეები იმყოფებიან. ხელისუფლებამ მათ მინიმალური პირობები მაინც უნდა შეუქმნას. ის, რაც კანცელარიასთან ხდება, ხელისუფლების მხრიდან ჰუმანიტარული პრინციპების დარღვევაა.

ხელისუფლება მათთან მუდმივ დიალოგში უნდა იყოს და მოლაპარაკებების გზით ეცადოს, მათ შიმშილობაზე უარი ათქმევინოს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, მოსწონთ თუ არა პატრიოტთა ალიანსი ან ეთანხმებიან თუ არა მათ მოთხოვნებს. ხელისუფლება ვალდებულია, თავისი მოქალაქეების სიცოცხლე დაიცვას.

შეიძლება, ვიღაც ისე ფიქრობს, რომ მოშიმშილეებს მაქსიმალურად ცუდ პირობებს შევუქმნით და იძულებული გახდებიან, ადგნენ. ამაში მწარედ ცდებიან. ისინი არ ადგებიან. რომელიმე მათგანს რამე რომ დაემართოს, აგებენ ამაზე პასუხს. ეტყობა, ხელისუფლებას ამაზე საერთოდ არ უფიქრია.

არაერთხელ მითქვამს, რომ ამ ხელისუფლებას მაზოხიზმისკენ აქვს მიდრეკილება. ეს შიმშილობის აქციის მიმართ მათმა დამოკიდებულებამაც დაადასტურა. ერთადერთი პარტია, რომელმაც შუალედურ არჩევნებში „ქართულ ოცნებასთან“ იპარტნიორა, პატრიოტთა ალიანსი იყო. თუნდაც ამის გამო მაინც გამოიჩინონ მოშიმშილეების მიმართ ყურადღება.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# „თინა, ჯარს მიხედე, სანამ მაგ სამინისტროდან გამოგათრიე!“

## ირმა ინაშვილი თინა ხიდაშელს ემუქრება

შორენა მარსაგიშვილი

სახელმწიფო კანცელარიის წინ შიმშილობის აქცია გრძელდება. აქციის მონაწილეების მიმართ ხელისუფლება არნახულ „ჰუმანურობას“ ამჟღავნებს. ამინდის გაუარესებისა და თავსხმა წვიმის მიუხედავად, მათ კარვების გაშლის უფლება ისევ არ მისცეს.




როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, თბილისის მერი არ არის წინააღმდეგი, მთავრობის კანცელარიასთან მოშიმშილეებმა კარავი გაშალონ ან წვიმისა თუ ქარისგან დამცავი მინიკონსტრუქცია დაამონტაჟონ.

ამასთან დაკავშირებით ცენტრალურ ხელისუფლებას სხვა პოზიცია აქვს, რადგანაც პოლიციელებმა მოშიმშილეებს პოლიეთილენის პარკის გამოყენებით დამზადებული მომცრო თავშესაფარი აალებინეს.

შიმშილობის აქცია ღია ცის ქვეშ გრძელდება.

აქციის მონაწილეების მოთხოვნები უცვლელია, თუმცა მათთანაც არის სიახლეები. კერძოდ, კანცელარიის წინ ყოველდღიურად 15 საათზე გაიმართება ბრიფინგი. ამის შესახებ ინფორმაცია მოშიმშილე ირმა ინაშვილმა გაავრცელა. ის ხელისუფლებას არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებს.

– ხელისუფლებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, აირჩია იგნორირების და არა დიალოგის გზა. ხელისუფლებამ უარი თქვა, მოშიმშილეებისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მორიგე ბრიგადა გამოეყოს, უარი თქვა ბიოსაპირფარეშოების დადგმაზე. ხელისუფლებამ დიდი ზომის ქოლგაც კი არ გაგვაშლევინა, რომელსაც მოშიმშილეები წვიმის დროს შეეფარებოდნენ. 11 ნოემბერს გაუარესებული ამინდის პირობებში გავმართეთ კუსტარული კონსტრუქცია, სადაც ღამე 40-მდე მოშიმშილემ გაათია, – აღნიშნა ინაშვილმა.

ეს კუსტარული კონსტრუქცია პოლიციამ მათ გუშინ დილით დააშლევინა. ამის მიუხედავად, მოშიმშილეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა და ახლა, ინაშვილის ინფორმაციით, უკვე 50 ადამიანი შიმშილობს.

– ჩვენ არ ვწყვეტთ ბრძოლას ჩვენი კონსტიტუციური უფლების – არჩევანისა და არჩევნების თავისუფლების დასაცავად. ვიმეორებ: საარჩევნო გარემო უნდა შეიცვალოს! ვიმეორებ: თავდაცვისა და გარემოს დაცვის გამყალბებელი მინისტრები უნდა გადააყენონ დაკავებული თანამდებობებიდან! ვიმეორებ: უნდა დაიწყოს გამოძიება საგარეჯოში არჩევნების გაყალბების ფაქტებთან დაკავშირებით და დაისაჯოს ყველა დამნაშავე! ვიმეორებ: ჩვენ აღარ გვაინტერესებს ირმა ინაშვილის თემა, ჩვენ გვაინტერესებს, როგორ არჩევნებს გვიმზადებს ხელისუფლება 2016 წლისთვის და რა გარანტიებს გვაძლევს დღეს, რომ არ დაგვაბრუნებს ან ბრეჟნევის ეპოქაში, ან ჩრდილოეთ კორეაში, – განაცხადა პატრიოტთა ალიანსის ლიდერმა.



**პრემიერი პატრიოტთა ალიანსს შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდებს**

* * *

მართალია, ინაშვილი 5 დღის ნაშიმშილარი იყო, მაგრამ საბრძოლო სული მაინც შენარჩუნებული ჰქონდა, თან იმდენად, რომ თავსაფრიან ამირსპასალარს სამინისტროდან გამოთრევით დაემუქრა.

ხიდაშელის მიმართ ასეთი რისხვა ინაშვილმა თავდაცვის მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადების გამო გამოხატა. ამირსპასალარი, თავის მხრივ, პრეზიდენტის მრჩეველ ფიქრია ჩიხრაძის განცხადებამ გამოიყვანა წყობილებიდან. არადა, ჩიხრაძეს არაფერი დაუშავებია. მან მოშიმშილეები მოინახულა.

**რატომ შემოსწყრა თავდაცვის მინისტრი ფიქრია ჩიხრაძეს**

ფიქრია ჩიხრაძემ ჯანდაცვის მინისტრს მიმართა, რომ უზრუნველყოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან მოშიმშილეებისთვის მუდმივად სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა. მან ასევე შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ მოშიმშილეთა შორის ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილიც არის.

ამ ფაქტს თინა ხიდაშელი გამოეხმაურა და ფიქრია ჩიხრაძეს რამდენიმე კითხვით მიმართა.

მინისტრმა განაცხადა, რომ სანამ ფიქრია ჩიხრაძე მთავარ კითხვას არ გასცემს პასუხს, გაყალბდა თუ არა საგარეჯოში არჩევნები, ყველა გოდება, რომ რაღაც გასასწორებელია, უბრალოდ, ახირების ნაწილი იქნება.

თავდაცვის მინისტრმა ეს ყველაფერი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. ამ მიმართვას, ბუნებრივია, ირმა ინაშვილიც გაეცნო და მინისტრს ისე მიმართა, მტერსაც კი გააჟრიალებდა.

– ვაფასებ იმას, რომ ქალბატონი ფიქრია ჩიხრაძე მოვიდა. მან ასევე მოგვთხოვა ინფორმაცია და ფაქტები, რომლებიც საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით გვაქვს. არავითარი შეფასებები ქალბატონ ფიქრიას არ გაუკეთებია და, რომც გაეკეთებინა, რა თინა ხიდაშელის საქმე და პრეროგატივაა. ჯარს მიხედე, რა, სანამ გამოგათრიე მაგ სამინისტროდან! – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

ხიდაშელის განცხადებას მის მიერ შერისხული პრეზიდენტის მრჩეველიც გამოეხმაურა.

ფიქრია ჩიხრაძე ამბობს, რომ ხიდაშელის კითხვებზე სერიოზული პასუხის გაცემა უჭირს.

მისი თქმით, პრეზიდენტი ყველა პოლიტიკურ ძალასთან საუბრობს და ამას ზედმეტი მტკიცება არ სჭირდება.

– ცოტა მიჭირს სერიოზული კომენტარის გაკეთება და დასაბუთება იმისა, თუ რატომ გაუჩნდა პრეზიდენტს სურვილი, მოშიმშილე ადამიანებთან მისულიყო, მით უმეტეს, ეს ადამიანები ძირითადად საარჩევნო კანონმდებლობის თემაზე საუბრობენ. ვფიქრობ, დღეს არ გვჭირდება იმის მტკიცება, რომ პრეზიდენტი ყველა პოლიტიკურ ძალასთან მიდის, თუ ამის საჭიროებას ხედავს და ის პრეზიდენტია.

მე მგონი, არ არის რელევანტური, მათზე დავიწყოთ პასუხების გაცემა. სხვათა შორის, ეს შეკითხვები თავისთავად ამტკიცებს, რომ კანონმდებლობაში, თუნდაც საარჩევნო თვალსაზრისით, ბევრი რამ, შესაძლოა, შესაცვლელი იყოს, – განაცხადა ჩიხრაძემ.

* * *

აქციის მეხუთე დღეს პატრიოტთა ალიანსის წევრების შიმშილობა ირაკლი ღარიბაშვილმაც შეამჩნია.

აქციასთან დაკავშირებით მთავრობის მეთაურმა საგანგებო განცხადება გაავრცელა.

მისი მტკიცებით, ობიექტური გარემოებები მიუთითებს, რომ შუალედური არჩევნები კანონის შესაბამისად ჩატარდა და ორივე მაჟორიტარულ ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გაიმარჯვა.

– მიუხედავად ამისა, როგორც ჩემთვის ცნობილია, პატრიოტთა ალიანსმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას საგარეჯოს საარჩევნო ოლქში კონკრეტულ შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, პროკურატურა კანონის სრული დაცვით იმოქმედებს. მე, პირადად, აქტიურად დავაკვირდები და თვალყურს მივადევნებ ამ პროცესს, რათა საზოგადოებას აღნიშნულთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ დარჩეს, – აღნიშნავს პრემიერი.

მან, წინამორბედის მსგავსად, აქციის მონაწილეებს შიმშილობის შეწყვეტისკენ მოუწოდა.

– მინდა, მივმართო პატრიოტთა ალიანსის წევრებს, შეწყვიტონ პროტესტის ეს რადიკალური ფორმა და საარჩევნო კანონმდებლობასთან თუ არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით მშვიდ გარემოსა და სამართლებრივ ჩარჩოებში, პოლიტიკური დისკუსიის ფარგლებში გააგრძელონ ოპონირება, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ვახტანგ ხმალაძე: „საკონსტიტუციო სასამართლოს მიკერძოებულობის საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს“

ნათია ხურცილავა



პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პარლამენტის შუამდგომლობა მოსამართლეთა კოლეგიის ორი წევრის აცილებაზე წარსულში მათ სამუშაო პოზიციებს არ უკავშირდებოდა და სხვა მიზეზებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე დაიწყო რუსთავი 2-ის სარჩელის განხილვა. პარლამენტი, როგორც მხარე, ორი მოსამართლის აცილებას ითხოვდა, რაც არ დაკმაყოფილდა. რამდენად იყო არგუმენტირებული პარლამენტის შუამდგომლობა?***

– საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე დაიწყო საკითხის განხილვა. სხდომა ჯერ არ დასრულებულა, გრძელდება. ჩვენ შუამდგომლობა მოსამართლეთა კოლეგიის ორი მოსამართლის აცილების თაობაზე გვქონდა, რაც არ დააკმაყოფილა, ხოლო რაც შეეხება კიდევ ორ შუამდგომლობას, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, იმის გამო, რომ ნორმის შეჩერებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სხვა პირებს, რომელთა სასამართლო დავების განხილვის დროს შეიძლება, იმ ნორმის გამოყენების საჭიროება წარმოიქმნას, რომლის შეჩერებაც არის მოთხოვნილი, ჩვენ სხვა შუამდგომლობებიც დავაყენეთ.

***– პარლამენტმა ასევე დააყენა შუამდგომლობა, რომ მოსამართლეთა პლენუმმა განიხილოს აღნიშნული საკითხი. ეს შუამდგომლობა რით იყო განპირობებული?***

– სწორედ იმ ნორმიდან გამომდინარე, რომლის გამოუყენებლობამ ასევე შეიძლება, სხვა პირებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს. ამიტომ მოვითხოვეთ, საქმე განსახილველად პლენუმს ანუ საკონსტიტუციო სასამართლოს სრულ შემადგენლობას გადაეცეს.

კიდევ ერთი შუამდგომლობა ეხებოდა სპეციალისტის მიწვევას. ჩვენ ვითხოვდით, რომ სახელმწიფო სამართლის სპეციალისტი იყოს მიწვეული, ვინც წარადგენდა თავის დასკვნას ამასთან დაკავშირებით. ეს ნორმა საკმაოდ ხშირად გამოიყენება და ამაზე მიუთითებს 30-ზე მეტი შემთხვევა ბოლო პერიოდის განმავლობაში.

***– საკონსტიტუციო სასამართლოში?***

– ეს ხდება საკონსტიტუციო სასამართლოშიც და უზენაეს სასამართლოშიც, როდესაც მხარის მიერ დაყენებული იყო საკითხი სწორედ ამ ნორმის გამოყენების შესახებ. ნორმის შეჩერებამ შეიძლება, პრობლემა შექმნას.

***– ეჭვი გამოითქვა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ფორსირებულად ახდენს საკითხის განხილვას. ფიქრობთ, რომ მეტი დროა საჭირო საქმის განსახილველად?***

– სასამართლო უფლებამოსილია, თავად განსაზღვროს, რა დროში განიხილავს საქმეს, თუმცა ბოლო პერიოდში რამდენიმე შემთხვევა იყო, როდესაც პრაქტიკულად არ გვრჩებოდა პოზიციის მოსამზადებლად დრო.

***– თუმცა ერთდღიანი ვადა მოგეცათ.***

– გააჩნია, რომელ სარჩელს გულისხმობთ. მაგალითად, პარასკევს, დღის მეორე ნახევარში გვითხრეს, რომ სხდომა შედგებოდა ორშაბათს დილით. შაბათ-კვირა არასამუშაო დღეებია, დაწესებულებები არ მუშაობენ. შესაბამისად, პოზიციის ჩამოსაყალიბებლად რთული პირობები შეგვექმნა. პოზიციის ჩამოყალიბებას კონსულტაციების გამართვა სჭირდება სპეციალისტებთან და ა.შ.

პარლამენტს საკონსტიტუციო სასამართლოში სულ ორი წარმომადგენელი ჰყავს. ამათგან ერთი ადგილი ვაკანტურია და კონკურსია გამოცხადებული. შესაბამისად, პარლამენტს საკონსტიტუციო სასამართლოში მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ჰყავს. შეუძლებელია, ერთი ადამიანის ცოდნა უსაზღვრო იყოს. ამიტომ იყო საჭირო დამატებითი კონსულტაციების გავლა სპეციალისტებთან. ამის დრო ჩვენ, ფაქტობრივად, არ მოგვეცა.

***– საკონსტიტუციო სასამართლოში იურისტის, სპეციალისტის მიწვევას კანონი ითვალისწინებს?***

– ცხადია და ეს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მრავალჯერ არის გამოყენებული, მაგრამ არის ერთი პრობლემა: როდესაც სასამართლოს უნდა, ძალიან სწრაფად განიხილოს საქმე, მაშინ საქმეში სპეციალისტის ჩართვა ხდება ძალზე რთული.

***– რატომ?***

– სპეციალისტები მუშაობენ გარკვეულ პოზიციებზე სხვადასხვა სამსახურში. მათ აქვთ თავიანთი სამუშაო განრიგი და, ერთი მხრივ, დრო სჭირდებათ, რომ პროცესისთვის მოემზადონ, მეორე მხრივ, მათ ფიზიკურად უნდა შეძლონ სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება, სხდომაზე დასწრება.

***– ბატონო ვახტანგ, პარლამენტის კიდევ ერთი შუამდგომლობა იყო, რომ მოსამართლეთა პლენუმს ანუ სრულ შემადგენლობას განეხილა საქმე. ამ შემთხვევაში ნაკლები კითხვის ნიშნები გაგიჩნდებოდათ?***

– რა გითხრათ, პირველი კოლეგიის მიმართ ჩვენ კითხვის ნიშნები ნამდვილად გვქონდა და გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ შუამდგომლობა არ არის დაკმაყოფილებული სასამართლოს მიერ. რაც შეეხება იმას, პლენუმი მოიქცევა თუ არა ობიექტურად და მიუკერძოებლად, ამის თქმა წინასწარ არ შემიძლია.

# შოთა მალაშხია: „ივანიშვილის მომსახურების ბიუროზე მოსახლეობამ უარი უნდა თქვას“

## „ეს ხელისუფლება მშვიდობიანად უნდა გავაცილოთ“

მარიამ მჭედლიშვილი





პარლამენტის უმცირესობის წევრი, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ლიდერი შოთა მალაშხია აცხადებს, რომ სიტუაცია ქვეყანაში სულ უფრო მძიმდება.

– მოსახლეობამ უკვე კარგად დაინახა „ქართული ოცნების“ ნამდვილი სახე. საზოგადოება აღმოჩნდა უმწვავესი პრობლემების წინაშე. არადა, გვპირდებოდნენ, რომ ამ ხელისუფლების მმართველობის მეოთხე წელიწადი საუცხოო იქნებოდა, – უთხრა „ახალ თაობას“ შოთა მალაშხიამ.

**შოთა მალაშხია:**

– ცოტა ხნის წინ გაზპრომთან თანამშრომლობაზე პროგნოზებს ვისმენდით. ადრე გაზპრომთან ფარული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. საზოგადოებამ ამის შესახებ გაზპრომის საიტიდან შეიტყო. ამას პროტესტი მოჰყვა. ამის შემდეგ ხელისუფლებამ იცრუა და გამოგვიცხადა, თითქოს აზერბაიჯანს საკმარისი გაზი არ აქვს და ალტერნატივაა საჭირო. აზერბაიჯანს კი იმდენი გაზი აქვს, რომ, საქართველოს გარდა, სხვა ქვეყნებშიც გააქვს. 2006 წელს, როცა უგაზოდ დავრჩით, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ საკუთარ მოსახლეობას მოაკლო გაზი და ჩვენ მოგვამარაგა.

აზერბაიჯანი საერთაშორისო პროექტებშიც მონაწილეობს, ენერგორესურსების მარაგიც აქვს, გაზს იმავე ფასში გვაძლევს, როგორიც აზერბაიჯანშია. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობა მის ალტერნატივად რუსეთს ირჩევს. ამ დროს ევროპის ქვეყნები ალტერნატივას იმიტომ ეძებენ, რომ თავი დაიხსნან რუსეთისაგან. ამით დამტკიცდა „ქართული ოცნების“ პრორუსულობა.

***– საქართველოში ადვილად ხდება ერთმანეთისთვის პრორუსულობის დაბრალება.***

– ეს ხელისუფლება მხოლოდ გაზპრომის გამო არ არის რუსეთის ინტერესების გამტარებელი. ის ხელს უწყობდა აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის აღდგენას, ასევე ეწინააღმდეგებოდა კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. გარდა ამისა, მმართველობის სტილიც ისეთია, როგორიც შეეფერება რუს ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილს.

***– ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში არ არის.***

– თვითონ ამბობს, რომ ხელისუფლებაში არ არის და არაფერში ერევა. სინამდვილეში, ის ყველაფერში მონაწილეობს. მოქალაქე ივანიშვილი არაფერში ერევა, მაგრამ საუბრობს პრეზიდენტის გამოსახლებაზე რეზიდენციიდან; მოქალაქე ივანიშვილი არაფერში ერევა, მაგრამ იბარებს ეკონომიკის მინისტრს და მას ესაუბრება. ყველა სტრუქტურა გადაქცეულია ერთი კაცის მომსახურე უწყებად. ამ ფონზე გადაუწყვეტელი რჩება ძველი და ახალი პრობლემები.

***– რომელი პრობლემები?***

– საერთაშორისო რადარებიდან გაქრობა, ლარის კურსის ვარდნა, დაპირებების შეუსრულებლობა. პენსიონერებს 240-ლარიან პენსიებს ჰპირდებოდნენ მაშინ, როცა 1 დოლარი ლარი და 65 თეთრი ღირდა. ახლა რომ გახადონ პენსია 240 ლარი, ეს 100 დოლარი იქნება, თანაც პენსიების მატება საერთოდ არ იგეგმება. ძალიან გაძვირდა წამლები.

ამ სიტუაციაში ხელისუფლებამ თავისუფალ მედიას შეუტია. მხოლოდ რუსთავი 2-ს არ ვგულისხმობ. დაიხურა ტოკშოუები სხვა არხებზეც. ეკა მიშველაძე ბრუნდება თუ არა საზოგადოებრივ მაუწყებელში, ზუსტად არ ვიცით. კიდევ ერთი პრობლემაა ინვესტიციები.

***– ხელისუფლება ინვესტიციების მოზიდვაზე ბევრს საუბრობს.***

– ინვესტიციების შემოდინება ისედაც შემცირდა. მდგომარეობა კიდევ გართულდება. როცა სახელმწიფო გადატრიალების მუხლით საქმეა აღძრული, რომელი ინვესტორი შემოვა? ამ მდგომარეობაში ხელისუფლებას ხელს აძლევს სამოქალაქო დაპირისპირება.

***– სამოქალაქო დაპირისპირება რატომ უნდა აძლევდეს ხელს ხელისუფლებას?***

– იმიტომ, რომ რეიტინგი არ აქვს. ეს ენდიაის სოციოლოგიურმა კვლევებმაც დაადასტურა.

***– მაგ კვლევების შედეგების ძალიან ცოტას სჯერა.***

– შეიძლება, მაგრამ მთავარი უდავოა – ხელისუფლების დაბალი რეიტინგი, ნაცმოძრაობის სტაბილური ამომრჩეველი და ის, რომ 50 პროცენტზე მეტმა არ იცის, ვის მისცეს ხმა. საზოგადოების უმრავლესობა არავის უჭერს მხარს. ამ ადამიანების ნაწილი გადაწყვეტილებას მიიღებს, ოღონდ – არა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ.

***– მაინც, როგორ წარმოგიდგენიათ ხელისუფლების მიერ ორგანიზებული დაპირისპირება?***

– ეს რუსული სცენარია. „ქართული ოცნება“ ვერც სხვა რამეს აკეთებს და ვერც რუსეთის მოთხოვნებს ასრულებს, ამიტომ რუსეთის ხელშეწყობით მზადდება სამოქალაქო დაპირისპირება. პრორუსული ძალები მხოლოდ ამ გზით მოვლენ ხელისუფლებაში.

სიტუაცია კრიზისულია – საქართველოში არავინ გრძნობს თავს კარგად. დაპირისპირების საფრთხეზე პრეზიდენტმაც გააკეთა განცხადება. კომფორტულად არ არიან ისინიც, ვინც „ქართულმა ოცნებამ“ დაასაქმა. უნდა ვეცადოთ, რომ ივანიშვილი მაოხრებელი გზირივით არ წავიდეს. ხელისუფლება მშვიდობიანი გზით უნდა შევცვალოთ.

ამისათვის საჭიროა პოლიტიკური ძალების, საზოგადოების მობილიზება. ცალკე დარჩებიან მხოლოდ ისინი, ვინც ივანიშვილის მომსახურების ბიუროში საქმიანობს. მოსახლეობამ ამ ბიუროზე უარი უნდა თქვას.



# გომელაური საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, სახელმწიფო უსაფრთხოების გენერალ-მაიორი ვახტანგ გომელაური საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩ ბეტინა კადენბახს შეხვდა.

შეხვედრისას განსაკუთრებულად აღინიშნა საქართველოსა და გერმანიას შორის არსებული წარმატებული თანამშრომლობის მნიშვნელობა. მხარეებმა მიმოიხილეს თანამედროვე მსოფლიოსა და რეგიონში არსებული სიტუაცია და გამოკვეთილი ტენდენციები, ისაუბრეს ორი ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ და ხაზი გაუსვეს ორი სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურების შესაბამისი თანამშრომლობის განმტკიცებისა და გააქტიურების აუცილებლობას.

ვახტანგ გომელაურმა და ბეტინა კადენბახმა სამომავლო გეგმებსა და თანამშრომლობის უახლოეს პერსპექტივებზე ისაუბრეს.

შეხვედრის დასასრულს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა კომენტარი გააკეთა:

– ძალიან საინტერესო და კონსტრუქციული შეხვედრა იყო. მე აქ მოვედი პირველ რიგში იმიტომ, რომ წარმედგინა ჩემი თავი და ასევე მინდოდა, გამეგო უფრო მეტი ამ სამსახურის შესახებ, რა პასუხისმგებლობები აქვს მას, რა განსხვავებაა ახლანდელსა და ძველ ვითარებას შორის, განსაკუთრებით რა პრიორიტეტები იყო მაშინ და რა პრიორიტეტებია ახლა, ასევე მინდოდა, ინფორმაცია მიმეღო სამომავლო თანამშრომლობაზე.

# არჩილ გამზარდია: „მესამე სექტორის ნაწილი პოლიტიკური პარტიის როლს ასრულებს“

ნონა ცაბაძე

დღეს ხელისუფლების მხრიდან ხშირად ისმის არასამთავრობო სექტორის კრიტიკა. მას ტენდენციურობაში ადანაშაულებენ. საზოგადოების ნაწილში არსებობს მოსაზრება, რომ ყოფილი ხელისუფლება მესამე სექტორში იკიდებს ფეხს და სწორედ იქიდან ცდილობს პროცესებზე გავლენის მოხდენას.

ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია მიიჩნევს, რომ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ კონტექსტში განხილვა სწორი არ იქნება. იმ არასამთავრობოებში, რომლებიც ხშირად ჩანან მედიაში, ანალიტიკოსი პოლიტიკის კვალს ხედავს.

გამზარდიას თქმით, არჩევნების შემდგომ ნაციონალების არასამთავრობო სექტორში გადასვლამ იმატა.

***– რატომ იმატა ამ ტენდენციამ?***

– ეს თითქოს გახდა ფსევდოკათარზისი საიმისოდ, რომ ის ადამიანები, რომლებიც ამ ორგანიზაციებს ქმნიან, რეაბილიტირებულ იქნენ საზოგადოებაში, რადგან მათი პოლიტიკური პარტიის იმიჯი გაკოტრებულია. მე მახსენდება არაერთი თანამდებობის პირი, ყოფილი გუბერნატორები, მინისტრის მოადგილეები, სამინისტროს თანამშრომლები, რომლებმაც არასამთავრობო ორგანიზაციები შექმნეს.

***– ხედავთ მათ კავშირს პოლიტიკურ პროცესებთან?***

– ყველა გამოკითხვა აჩვენებს, რომ პოლიტიკურ პარტიებს დაბალი რეიტინგი აქვთ და მათ მოღვაწეობას საზოგადოება ნეგატიურად აფასებს. ეს არასამთავრობო ორგანიზაციები არის საშუალება, რომ ფინანსური რესურსები იქნეს გადატყორცნილი მათში და, მეორე მხრივ, ე.წ. ნეიტრალურ ტიპებს წარმოადგენენ, რაც შეკითხვებს აჩენს.

***– ამ ბოლო პერიოდში რამ გააჩინა ეს შეკითხვები?***

– ამ ბოლო პერიოდში ამის ერთ-ერთ ინდიკატორად მე ჩავთვლიდი რუსთავი 2-ის შემთხვევას.

***– ამაში რა არის ცუდი, თუკი მესამე სექტორი მედიას იცავს?***

– იმაზე, რომ ზოგადად მედიასაშუალების დაცვა საჭიროა, მაგრამ საჭიროა გონივრულად, არავინ დავობს, თუმცა, როდესაც ჩვენ დავაკვირდით, რომ ამ დაცვის პროცესში პოლიტიკური ინტერესები იყო ჩადებული და კონკრეტულ პოლიტიკურ სუბიექტებთან მიმართებით გამოხატეს დაცვა, ეს აჩენს შეკითხვებს და არა ის, რატომ იცავენ მედიას.

ეს არასამთავრობო ორგანიზაციები გამოვიდნენ არა იმდენად მედიასაშუალების, არამედ კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების დამცველებად, რათა შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ, აი, არასამთავრობო ორგანიზაციები მათ გვერდით არიან.



***– ეს არასამთავრობოები ვილაცის პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებენ?***

– ეს ყველაფერი კითხვებს იწვევს. მეც როდესაც ვხედავ, რომ ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ან ყოფილი გუბერნატორი და ასე შემდეგ არიან დღეს არასამთავრობო ორგანიზაციების სტატუსებით წარმოდგენილნი, მე მათში არასამთავრობო ორგანიზაციებს ვერ ვხედავ, მათში უფრო ვხედავ ყოფილ ხელისუფლებას, რომელსაც თანამდებობა არ აქვს და გარკვეული ფორმით ცდილობს საზოგადოებრივ აქტივაციას.

***– საზოგადოებაში არის ნდობა ასეთი ორგანიზაციების მიმართ?***

– საზოგადოების მხრიდან მათ მიმართ ნდობა, პრაქტიკულად, არ არსებობს, მაგრამ ეს თავისებური კლანიზმის პრინციპია.

***– ანუ?***

– ყოფილი ხელისუფლება, რომელიც გვგონია, რომ აღარ არსებობს, სინამდვილეში ამდენი ხნის განმავლობაში ისე მუშაობდა, რომ დღესაც არსებობს სხვადასხვა განშტოებაში.

***– კონკრეტულად?***

– მათ აქვთ მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები. ასევე განათლების კერებში, სხვადასხვა ინსტიტუციაში ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები კომფორტულად არიან მოთავსებულნი, მათ შორის, ეროვნულ ბანკში, საკონსტიტუციო სასამართლოში. ნაციონალების რაღაც ნაწილი დარჩა პარტიაში, ნაწილი მიდის არასამთავრობო სექტორში, რათა მან გაამყაროს ნაციონალური მოძრაობა.

***– გამყარებაში რას გულისხმობთ?***

– თუნდაც გაამყარონ ისინი საერთაშორისო ასპარეზზე. დღეს ეს არასამთავრობო ორგანიზაციები იმეორებენ ზუსტად იმავე ტექსტს, რომელსაც ამბობს ნაციონალური მოძრაობა. ყოფილი ხელისუფლება, თავის მხრივ, ჩართულია მათ დაფინანსებაში და მათი ფინანსების გარანტია.

ანალიტიკოსს მიაჩნია, რომ ეს ყველაფერი მახინჯ სახეს იღებს. მისივე თქმით, არასამთავრობო სექტორი ძალიან საჭიროა, ხოლო ეს პროცესები მას იმიჯს უფუჭებს.

– მოსახლეობა ძალიან ნეგატიურად არის განწყობილი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, მაშინ როცა ასე არ უნდა იყოს. დღეს პოლიტიზებული არასამთავრობოებიც და ისინიც, ვინც რეალურად საქმეს აკეთებენ, ერთ ქვაბში იხარშებიან. კარგი იქნება, ეს ხალხი ისევ პოლიტიკას დაუბრუნდეს, რადგან ამ არასამთავრობო სექტორში ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია პოლიტიკური პარტიის ფუნქციას ასრულებს, – აცხადებს გამზარდია.

# გია ხუხაშვილი: „ეს ხელისუფლება დამარცხებისთვის არის განწირული“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– როცა ამბობთ, იპარტნიორაო, რას გულისხმობთ?***

– ამ არჩევნებს ყველა პარტიამ ბოიკოტი გამოუცხადა. ერთადერთი ძალა, რომელმაც „ქართულ ოცნებასთან“ ერთად არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, პატრიოტთა ალიანსი იყო. ისინი პროცესს კონსტრუქციულად მიუდგნენ და ხელისუფლების ავტორიტეტი გადაარჩინეს. სრული ბოიკოტის პირობებში არჩევნების ჩატარება მათ წისქვილზე წყალს ნამდვილად არ დაასხამდა. მართლა მოხერხება უნდა იმას, რომ პარტია, რომელიც დემოკრატიული ანტურაჟის შექმნაში დაგეხმარა, ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიკიდო.

***– პატრიოტთა ალიანსის შიმშილობის მიზეზზე რას იტყვით, გააყალბა ხელისუფლებამ არჩევნები? ჯონდი ბაღათურია ფიქრობს, რომ ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რათა პარლამენტში ერთი განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანი არ შეეშვათ.***

– შეშვება-არშეშვება უხეში ნათქვამია. არ ვამტკიცებ, რომ საგარეჯოში ხელისუფლებამ რაიმე უკანონობა ჩაიდინა, მაგრამ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ლამაზი არ იყო. არ არსებობდა იმის საჭიროებაც, რომ ერთ-ერთი მინისტრი სახელისუფლებო კანდიდატის საარჩევნო შტაბს ჩასდგომოდა სათავეში.

ულამაზო იყო ისიც, რომ დეპოლიტიზებული თავდაცვის სამინისტროს პირველი პირი ღამე დაჯდა და ხმების დათვლა დაიწყო.

***– იურისტი თინა ხიდაშელი ამბობს, რომ ამით კანონი არ დაურღვევია.***

– ამით კანონი მართლაც არ დარღვეულა, მაგრამ ამის დემონსტრირება იყო ძალიან ცუდი და ხალხის გაღიზიანება გამოიწვია. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ შეგნებულად ასხამდნენ ცეცხლზე ნავთს.

ასევე საკამათოა, რატომ მიაღებინეს იქ დისლოცირებულ სამხედროებს არჩევნებში მონაწილეობა, როცა ეს იყო მხოლოდ შუალედური არჩევნები. იმ ნაწილში ხალხი მთელი საქართველოდან მსახურობს. ლოგიკურად ჩნდება კითხვა, რატომ უნდა ირჩევდეს ოზურგეთელი ან ზუგდიდელი ჯარისკაცი საგარეჯოს მაჟორიტარ დეპუტატს, როცა ამ რაიონიდან ხვალ სადმე სხვაგან შეიძლება გადაიყვანონ.

რაც მოხდა, ამას ვეღარაფერს ვუშველით და ახლა იმაზე უნდა იზრუნონ, რომ მოშიმშილე ადამიანებს მიხედონ. საგარეჯოს არჩევნები, წესით, მათთვის ჭკუის სასწავლებელი იქნება. ამ ქვეყანაში მინისტრებისა და სხვა ჩინოვნიკების საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოვრიცხოთ.

***– თქვენი აზრით, მომავალი წლის არჩევნებზე ხელისუფლება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე უარს იტყვის?***

– ხელისუფლებას დიდი პრობლემა აქვს. მას ისედაც სუსტი ლეგიტიმაცია აქვს. მასაც და ე.წ. მთავარ ოპოზიციურ ძალას ანუ ნაცმოძრაობას ჯამურადაც კი დაბალი რეიტინგი აქვთ. ლეგიტიმაციის გარეშე დარჩენილები ერთმანეთის გარდა ვერავის ამჩნევენ და მუდმივად თავიანთ კინკლაობას გვაყურებინებენ. ამ დროს საზოგადოება, რომელიც ამ ქვეყანაში მთავარი მოთამაშეა, დავიწყებულია.

31 ოქტომბრის არჩევნებმა ხელისუფლების პრობლემები კარგად წარმოაჩინა. შეზღუდული კონკურენციის პირობებშიც კი დამაჯერებლობას მოკლებული გამარჯვება მოიპოვეს. წარმოიდგინეთ, რა მოხდება საპარლამენტო არჩევნებზე, როცა ოპოზიციური პარტიების მთელი სპექტრი მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. მაღალი აზრი არცერთ მათგანზე არა მაქვს და ისიც ვიცი, რომ „ქართულ ოცნებას“ დამოუკიდებლად კონკურენციას ვერცერთი ვერ გაუწევს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს.

2016 წლის არჩევნებზე „ქართული ოცნების“ კონკურენტი ქართველი საზოგადოება იქნება და არა – რომელიმე პარტია. ამ პოლიტელიტის პირობებში ხელისუფლება არჩევნებს მოიგებს, მაგრამ მისი ლეგიტიმაცია იქნება სუსტი.

***– სუსტ ლეგიტიმაციას რა მოჰყვება?***

– ქვეყანაში პოსტსაარჩევნო კრიზისი მოჰყვება, მოსახლეობის დიდი ნაწილი ხელისუფლებას ეტყვის, მე შენ არ ამირჩევიხარო. ამის გარდა, მის წინააღმდეგ გაერთიანდება მთელი ოპოზიცია და ძალიან მაინტერესებს, როგორ მოახერხებენ ამ კრიზისის გადალახვას. პირდაპირ გეტყვით, რომ ამის გაკეთება „ქართულ ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება. ასეთი კრიზისის გადალახვა სააკაშვილის ჩამოყალიბებულ რეჟიმსაც კი გაუჭირდა.

***– ზემოთ თქვით, ხელისუფლება ცეცხლზე ნავთს ასხამსო და ეს, როგორც თქვენ ამბობთ, მათი მაზოხისტური ბუნებიდან გამომდინარეობს თუ რაღაც სხვა მიზეზია?***

– ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მაზოხისტები არიან, ყველა ფეხის ნაბიჯზე უშვებენ შეცდომას და ეს შეცდომები ბუმერანგივით უკან უბრუნდებათ. სულ ვამბობ, რომ სააკაშვილი სადისტი იყო, მაგრამ მას მიზანი და ამოცანა ჰქონდა, ხელში პირობითი იარაღი ეჭირა და მტერს ესროდა. ეს იარაღი ახლა „ქართული ოცნების“ ხელშია. თავისი მენტალიტეტიდან გამომდინარე, ამ იარაღს ვერც სხვას ესვრიან, ვერც თმობენ და ამიტომაც არის, რომ ხან ფეხში გაირტყამენ, ხან – ხელში.

ყველა ნაბიჯი, რომლებიც ხელისუფლებამ ლოკალური კრიზისების დროს გადადგა, შეცდომა იყო. გადაწყვეტილებების მიმღებებად და გამხმოვანებლებად ჰყავთ ისეთი ადამიანები, რომლებსაც არც პოლიტიკური და არც ინტელექტუალური კომპეტენცია არ აქვთ. წარმოდგენაც კი არ მინდა, რა მოხდება, აქ სერიოზული კრიზისი რომ შეიქმნას.

***– იარაღს ხან ხელში გაირტყამენ და ხან ფეხშიო, ამბობთ. არის იმის ალბათობა, რომ მორიგი იარაღის გარტყმა პოლიტიკურად ფატალური შედეგით დასრულდეს?***

– დღევანდელი დინამიკა მათთვის ძალიან სახიფათოა და იმის რისკი, რომ ხელისუფლება ძალაუფლებას დაკარგავს, ძალიან მაღალია. ეს ძალაუფლება დღეს უკვე ქუჩაში გდია. პირადად მე მიზანმიმართულ სახელმწიფოებრივ მეთოდურ ქმედებებს ვერ ვხედავ ვერც საშინაო და ვერც საგარეო პოლიტიკაში.

საგარეო პოლიტიკის მხრივ საერთოდ კატასტროფული ვითარებაა. სახელმწიფო დეპარტამენტიდან და ევროკავშირიდან ისეთი მუქარები წამოვიდა, ისტორიას რომ არ ახსოვს. ეს ძალიან ცუდია.

მცირე იმედს ვიტოვებ, რომ ხელისუფლება რეორგანიზებას შეძლებს და მმართველობით სისტემას სისტემურად გადაალაგებს. პერსონალური ცვლილებები არაფერს მოიტანს. თუ სისტემური ცვლილებები არ განახორციელა, ის დამარცხებისთვის არის განწირული არა რომელიმე პარტიასთან, არამედ ქართველ საზოგადოებასთან.

# მანანა ნაჭყებია: „მარგველაშვილს ავლაბრის რეზიდენციის დატოვება არ მოუწევს“

შორენა კოწოწაშვილი

არის თუ არა შეცდომა ის პოზიცია, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა და მმართველმა გუნდმა აირჩია პრეზიდენტის მიმართ და რა ვერ გათვალა ხელისუფლებამ? – ამ საკითხების ირგვლივ „ახალი თაობა“ გთავაზობთ ინტერვიუს „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერ მანანა ნაჭყებიასთან.

***– ქალბატონო მანანა, პრეზიდენტის რეზიდენციის ირგვლივ კამათი არ ცხრება. ბიძინა ივანიშვილი და მის კვალდაკვალ მმართველი გუნდის წევრები ცალსახად აპელირებენ, რომ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა რეზიდენცია უნდა დატოვოს და ათონელზე გადავიდეს. რამდენად მართებულია ეს დამოკიდებულება?***

– გასაკვირია, რომ ასეთ სიტუაციაში, როცა ქვეყანა უამრავი საშინაო თუ საგარეო გამოწვევის წინაშე დგას, ხელისუფლება იმაზე მნიშვნელოვანს ვერაფერს ხედავს, პრეზიდენტი რომელ შენობაში მუშაობს.

მაგრამ ასე სურს ქვეყნის არაფორმალურ მმართველ ივანიშვილს და ამიტომაც იქცა ეს მთავრობისა და პარლამენტის ნაწილის მთავარ თემად. აშკარად იგრძნობა, რომ ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, ამ გზით დასაჯოს და დააკნინოს პრეზიდენტი, რომელმაც გაბედა და ვეტო დაადო ე.წ. მოსმენების კანონს, მოწმეთა სასამართლოში დაკითხვის წესის ამოქმედების გადავადებასა და სხვა არადემოკრატიულ ცვლილებებს კანონმდებლობაში, რომლებსაც ახორციელებდა და ახორციელებს „ქართული ოცნება“.

პრეზიდენტი ერთადერთი ინსტიტუციაა საქართველოში, რომელიც არ მოექცა ბიძინა ივანიშვილის გავლენის ქვეშ. ასევე ხელისუფლების გავლენისგან თავისუფალი მედია არის ის, რაც აღიზიანებს ყოფილ პრემიერ-მინისტრს და ის მიზანმიმართულად არის დაკავებული მათ წინააღმდეგ ბრძოლით.

***– ბიძინა ივანიშვილი ამბობდა, რომ მარგველაშვილი თავიდან არ აპირებდა ავლაბრის რეზიდენციაში გადასვლას და ათონელზე შენობა საპრეზიდენტო რეზიდენციად სწორედ მისი თანხმობით გარემონტდა. რით ხსნით მარგველაშვილის პოზიციის ცვლილებას?***

– ამ სიტუაციაში მარგველაშვილის პოზიციის ცვლილება კი არ არის საინტერესო, არამედ ის, რაც სჭირდება ქვეყანას. რადგან უკვე აშენდა და ფული დაიხარჯა პრეზიდენტის სასახლეზე, ის უნდა გამოიყენონ ქვეყნის ამ და სხვა პრეზიდენტებმაც.

***– რატომღა დათანხმდა მარგველაშვილი ახალი რეზიდენციისთვის შენობის გარემონტებას, რომელიც ბიუჯეტს მილიონობით ლარი დაუჯდა?***



– და რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, ამ გარემონტებულ შენობას გაყიდიან თუ ათონელზე არსებულ შენობას?

***– ხელისუფლება აცხადებს, რომ მაშინ, როცა ქვეყანას უჭირს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენახვაზე ბიუჯეტიდან 10 მილიონი არ უნდა იხარჯებოდეს.***

– ეს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანაა. მეტიც, ამ ხელისუფლების მხრიდან ცინიკურია ასეთი განცხადებები და ზრუნვა 10 მილიონის დაზოგვაზე, მაშინ როცა მთელი ქვეყანა ხედავს, როგორ იხარჯება ბიუჯეტიდან რამდენიმე მილიარდი ლარი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა კომფორტზე.

ბოლო 2 წელიწადში სახელმწიფო მოხელეების შენახვის ხარჯი 400 მილიონით გაიზარდა და 1 მლრდ 500 მლნ ლარი შეადგინა. ეს მხოლოდ მათი ხელფასები და დანამატებია. ამ თანხაში არ შედის და ცალკეა საწვავის, მივლინების, კომუნიკაციისა და სხვა ხარჯები, ასევე არ შედის თვითმმართველობების ხარჯები.

***– რამდენად სერიოზულ ჩრდილს აყენებს ქვეყანას პრეზიდენტის მისამართით გაკეთებული მსგავსი განცხადებები და რატომ არ ითვალისწინებს მმართველი გუნდი, როგორ აღიქვამს ამ ყველაფერს დასავლეთი?***

– ცხადია, ეს სერიოზულ ზიანს მიაყენებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს. დემოკრატიული სამყარო მიჩვეულია, რომ პრეზიდენტები მუშაობენ მათთვის გამოყოფილ ადგილას და ეს ადგილი ტრადიციულია.

***– როგორ ფიქრობთ, მაინც მოუწევს მარგველაშვილს ავლაბრის რეზიდენციის დატოვება? როგორც ჩანს, ამ მხრივ მთავრობა უფრო აქტიურ ნაბიჯებს გადადგამს.***

– მე ვფიქრობ, რომ არ მოუწევს. არ ჩანს ამის არანაირი იურიდიული და საკანონმდებლო საფუძველი. თუ მოქალაქე ივანიშვილს უნდა, პრეზიდენტმა ეს შენობა დატოვოს, მე და, დარწმუნებული ვარ, ათასობით სხვა მოქალაქეს არ გვინდა, საქართველო ისტორიაში ამ სამარცხვინო ფაქტით შევიდეს.

# ბიზნესმენებს ბანკებთან ისევ პრეტენზიები აქვთ

## არის თუ არა ქართული საბანკო სექტორი ბიზნესის პარტნიორი

ბიზნესმენების ნაწილი კრიზისის პერიოდში ქართული ბანკების არაპარტნიორულ დამოკიდებულებაზე საუბრობს.

„ნიკორას“ დირექტორი ირაკლი ბოქოლიშვილი ამბობს, რომ სავალუტო კრიზისის დროს ქართულმა ბანკებმა, დასავლური ბანკებისგან განსხვავებით, განაკვეთები გაზარდეს. ეს ყველაფერი კი ბიზნესზე ზეწოლას აძლიერებს.

– ეს გრძელვადიანი პერიოდისთვის არასწორი პოლიტიკაა და მეტ პრობლემებს მოიტანს ბიზნესისთვის. და თუ ბიზნესი თავს ვერ აარიდებს პრობლემებს, მაშინ ეს ბანკებს ბუმერანგივით დაუბრუნდება, – აცხადებს ბოქოლიშვილი.

კომერციული ბანკის მიმართ პრეტენზიებს გამოთქვამს ბიზნესმენი დავით ბეგიაშვილიც.

როგორც ის „კომერსანტთან“ განმარტავს, ამერიკაში და ევროპის ქვეყნებში გაცილებით ნაკლები საპროცენტო განაკვეთებია და სესხების მიღება უფრო გამარტივებული გზებით ხდება. კარგი იქნება, თუ საერთაშორისო პრაქტიკას და პათოსს ქართული საბანკო საზოგადოებაც გაითვალისწინებს.

– ქართულ ბანკებს კარგი მადა აქვთ. შედეგად, ისინი ბიზნესებს ისეთ კაბალურ პირობებს სთავაზობენ, რომ ხშირად გაკოტრებამდე მიჰყავთ. ბიზნესი ამის გამო შებოჭილია, საბრუნავ საშუალებებზე ძვირ ფულს ხარჯავს. ეს ყველაფერი კი კატასტროფაა, – აცხადებს ბეგიაშვილი.

კომერციულ ბანკებზე მსგავს შეხედულებას არ იზიარებს გადამზიდავი კომპანია „ისთ გეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი იაშვილი.

მისი თქმით, ეროვნული და კომერციული ბანკების მიმართ პრეტენზიების წაყენება არ შეიძლება.

იაშვილის მტკიცებით, ის, რომ კომერციული ბანკების მხრიდან არ ხდება სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება, ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთის ზრდით არის განპირობებული. კომერციული ბანკების მხრიდან კი ადეკვატური რეაქცია იყო.

მისი შეფასებით, დასავლეთსა და ევროპაზე ამ კუთხით სწორება და მათი პრაქტიკის გაზიარება არასწორია. კერძოდ, ამერიკაშიც



არის მონეტარული მექანიზმენი, რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება იქაც იგივეს იწვევს, თუმცა, მისი განმარტებით, იქ, ჩვენგან განსხვავებით, არ დგას დევალვაციის პრობლემა.

– ჩვენ ჩვენი რეალობიდან გამომდინარე უნდა გამოვიდეთ. ყველაფერი რომ ასე არ ყოფილიყო, ბიზნესები უფრო საშინელ მდგომარეობაში იქნებოდა, – აცხადებს იაშვილი.

კომერციული ბანკების მიმართ პრეტენზიებზე ბიზნესმენების ნაწილი ბოლო თვეებია აქტიურად საუბრობს.

მაგალითად, ერთი თვის წინ „ლილო მოლის“ პრეზიდენტი ლევან გაგუა „კომერსანტთან“ აცხადებდა, რომ ლარის გაუფასურების ფონზე ბანკებმა ბიზნესის მიმართ თანადგომა არ გამოიჩინეს.

გაგუას თქმით, შექმნილ სიტუაციაში მთელი დატვირთვა ბიზნესზე მოხდა, მათზე, ვინც გადასახადებს იხდის. მაშინ გაგუა აცხადებდა, რომ ბანკები დაზღვეული სისტემით მუშაობენ და დაგეგმილი შემოსავლების შემცირება არ სურთ, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ბანკებთან პარტნიორული ურთიერთობა აქვთ, მათგან რაიმე ქმედითი თანადგომა არ ხდება.

„ლილო მოლის“ პრეზიდენტი ამბობდა, რომ ბიზნესისთვის საბანკო ტვირთის შემცირება მოგების გადასახადის გაუქმება იქნება, რადგანაც კომპანიები საკუთარ რესურსს გამოიყენებდნენ ახალი პროექტებისთვის და აღარ აიღებდნენ კრედიტს.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

## პედაგოგებს ხელფასს აპრილიდან გაუზრდიან



ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის ინფორმაციით, მომავალი წლისთვის პედაგოგებს ხელფასი გაეზრდებათ.

როგორც ფინანსთა მინისტრმა პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, პედაგოგთა ხელფასები 70 მილიონი ლარით იზრდება.

– ხელფასი პედაგოგებისათვის მიმდინარე წლის სექტემბრიდან გაიზარდა და ხელფასების ზრდა კიდევ მომავალი წლის აპრილშია დაგეგმილი. საბაზო ხელფასი 400-450 ლარი ხდება, – განაცხადა ხადურმა პარლამენტის სხდომაზე.

მანვე პენსიების გაზრდაზეც ისაუბრა.

ამ საკითხზე კონკრეტული პასუხი ფინანსთა მინისტრს ჯერ არ აქვს. მან პარლამენტის სხდომაზე დეპუტატების პასუხად მხოლოდ ის განაცხადა, რომ მუშავდება ვარიანტები და მთავრობის პოზიცია ახლო მომავალში გახდება ცნობილი.

– ჩვენ ერთხელ შევიკრიბეთ. მზად ვარ, კიდევ ერთხელ შევიკრიბოთ, გავიაროთ ვარიანტები, რომლებიც მუშავდება ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად. მთავრობის პოზიცია ამასთან დაკავშირებით ძალიან მალე გახდება ცნობილი, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

ხადურმა გუშინ, 12 ნოემბერს, პარლამენტს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი გააცნო.

**ბიპიენი**

## ბათუმში 150-მილიონიან პროექტს ინვესტორი ეცვლება?



ავსტრიული კომპანიის ქართულმა შვილობილმა „ჯიაიემჯიმ“, რომელიც ბათუმში მსხვილ სასტუმრო-გასართობ კომპლექსს აშენებს, შესაძლოა, პროექტში ახალი ინვესტორი შეიყვანოს.

როგორც კომპანიის დირექტორი „კომერსანტთან“ აცხადებს, ამ ეტაპზე მშენებლობა გეგმის მიხედვით მიდის და მომავალი წლის ბოლოსთვის კომპლექსის ორი ბლოკი – სასტუმრო და გასართობი ცენტრი დასრულდება.

თემურ გამცემლიძის თქმით, პარალელურად მოლაპარაკებები მიმდინარეობს იმისთვის, რომ პროექტში ახალი ინვესტორი შევიდეს. შეთავაზებები სხვადასხვა ჯგუფიდან აქვთ, მათ შორის არაბული საინვესტიციო კომპანიებიდან. გამცემლიძის თქმით, თუ ხელსაყრელი წინადადება იქნა, შესაძლოა, კომპანიამ პროექტი სრულად დათმოს.

რაც შეეხება სასტუმროს ბრენდის თემას, გამცემლიძე ამბობს, რომ ეს საკითხი ახალ პარტნიორთან მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდება.

„ჯიაიემჯი“ ბათუმურ კომპლექსში „კემპინსკის“ ბრენდის შეყვანას გეგმავდა, თუმცა პროექტში ცვლილებების გამო „კემპინსკიმ“ სასტუმრო ოპერატორობაზე უარი თქვა.

სასტუმროს გარდა, პროექტში გასართობი ცენტრები, კაზინოები, საგამოფენო, ბოულინგ, ფიტნეს და სპაცენტრები განთავსდება.

აღნიშნული პროექტი „ჯიაიემჯის“ პირველი პროექტია. მისი დასრულება 2016 წლის გაზაფხულისთვის იგეგმება, ინვესტიციის მოცულობა კი 150 მილიონი დოლარია.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# „გლობალური ალიანსი“ ანტიმიკრობული თერაპიის მიმართულებით ჯანდაცვის სამინისტროს კონსულტაციებს გაუწევს

თბილისში ანტიმიკრობული თერაპიის რაციონალურ გამოყენებას სპეციალური კონფერენცია მიეძღვნა, რომელიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და საკონსულტაციო ჯგუფის „გლობალური ალიანსის“ ორგანიზებით გაიმართა.

კონფერენციაზე მოწვეულ სტუმრებსა და პირველადი ჯანდაცვის რგოლის პრაქტიკოს ექიმებს ანტიმიკრობული თერაპიის რაციონალური გამოყენების ინსტრუქციები გააცნეს და სენფორდის „ანტიმიკრობული თერაპიის“ სახელმძღვანელოს 45-ე გამოცემის ქართული ვერსია საჩუქრად გადასცეს.

ღონისძიების ფარგლებში პრაქტიკოსი ექიმებისათვის გაცნობის მიზნით ასევე გაიმართა პრეზენტაციები ანტიმიკრობულ თერაპიაზე ევროპული გამოცდილების გაზიარებისა და სენფორდის სახელმძღვანელოს პრაქტიკაში დანერგვის ინსტრუქციის შესახებ.

პრეზენტაციები წარადგინეს უნივერსიტეტ პარიზი-7-ის სამედიცინო სკოლის პროფესორმა ელიზაბეტ ბუვემ თემაზე: „ანტიბიოტიკებზე მეურვეობა: როგორ გავაუმჯობესოთ პრაქტიკოსი ექიმების მიერ ანტიბიოტიკების გამოყენება“ და პროფესორმა მალვინა ჯავახაძემ თემაზე: „რაციონალური ანტიმიკრობული თერაპია პირველადი ჯანდაცვის სისტემაში: სენფორდის ანტიმიკრობული თერაპიის სახელმძღვანელო და მისი გამოყენების ინსტრუქცია“.

ელიზაბეტ ბუვემ კონფერენციაში მონაწილეობა საკონსულტაციო ჯგუფის „გლობალური ალიანსის“ მოწვევითა და რეკომენდაციით მიიღო. როგორც დაავადებათა კონტროლისა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე განმარტავს, ეს მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, როდესაც ასეთი მაღალი დონის სპეციალისტი და პრაქტიკოსი პროფესორი ჩვენს ექიმებს გარკვეულ რეკომენდაციებს აძლევს.

კონფერენციაზე ფრანგმა პროფესორმა ისაუბრა, თუ როგორ უნდა მოხდეს ქვეყანაში ანტიბიოტიკების რაციონალურად გამოყენება, რა უნდა იცოდეს პირველადი ჯანდაცვის რგოლის პრაქტიკოსმა ექიმებმა თუ, ზოგადად, საზოგადოებამ, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს ქვეყნის ჯანდაცვის სფეროს განვითარებაზე:

– ანტიმიკრობული რეზისტენტობა მსოფლიო პრობლემაა, ამიტომაც ჩემი პრეზენტაციის ძირითადი თემაც სწორედ ამ პრობლემას ეხებოდა. დღეს პრაქტიკოს ექიმებს საჩუქრად გადაეცათ მნიშვნელოვანი სახელმძღვა-



ნელო და ვისურვებდი, ის რეკომენდაციები, ჩვევები და გაიდლაინები, რომლებიც განხილულია, აუცილებლად ამოიყენონ და დანერგონ პრაქტიკაში. ანტიბიოტიკების რაციონალურად გამოყენება მნიშვნელოვანი საკითხია. მხარს ვუჭერ საქართველოს მთავრობასა და ჯანდაცვის სამინისტროს ამ ინიციატივასა და წამოწყებას ქვეყნისთვის.

ასეთი მხარდაჭერით, ამ სახელმძღვანელოსა თუ შესაბამისი პრაქტიკის დანერგვის გზით, სხვა კონკრეტული ქმედებებით, მიმაჩნია, მსოფლიოში ეს პრობლემა აუცილებლად აღმოიფხვრება. „გლობალური ალიანსი“ არის სწორედ ის ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია, ჯანდაცვის სამინისტროს ამ მიმართულებით სათანადო კონსულტაციები გაუწიოს.

პროფესორ მალვინა ჯავახაძის თქმით, რეზისტენტობა მას შემდეგ არსებობს, რაც ანტიბიოტიკი შეიქმნა, მაგრამ დღეს მთელი რიგი პრობლემების გამო ანტიბიოტიკების მიღება არ არის მომგებიანი ფარმაცევტული კომპანიებისათვის და ახალი ანტიბიოტიკების მიღების ტემპი მკვეთრად ჩამორჩება რეზისტენტობას:

– ამ პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით. თუ ასეთი ტემპით გავაგრძელებთ, რამდენიმე წელიწადში მსუბუქი ინფექციაც განუკურნებელი და ადამიანისთვის მომაკვდინებელი იქნება.

ამიტომ, თუ ჩვენ ახლა გამოვიყენებთ ანტიბიოტიკებს ხშირად და არამიზანმიმართულად, ამით ჩვენს მომავალ თაობას პრაქტიკულად არსებობას შევუწყვეტთ. პირველად ჯანდაცვის სისტემაში შეძენილი ინფექციების შემთხვევაში, როდესაც პაციენტი არ საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას, ამბულატორიის პირობებში როდესაც არ არის აუცილებელი, არჩევანი არ უნდა გაკეთდეს ანტიმიკრობულ საშუალებებზე. სწორედ ამაზეა მსჯელობა და ამას ეძღვნება ის საერთაშორისო მსოფლიო კვირეული, რომელიც 16 ნოემბერს დაიწყება და ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

მოწოდებაა არა მარტო ექიმებისადმი, ასევე პაციენტებისადმი, რომ ძალიან ხშირად უარი ვთქვათ ანტიბიოტიკებზე. საქართველოში მოსახლეობას წვდომა ანტიბიოტიკებზე რეცეპტის გარეშე არ აქვს. ეს ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია და, რა თქმა უნდა, ბევრ პრობლემას აგვაცილებს.

კონფერენციაზე ითქვა, რომ ანტიმიკრობული რეზისტენტობა 21-ე საუკუნის გლობალური გამოწვევაა, რომელმაც გადალახა ყოველგვარი საზღვრები, გავრცელდა ყველა კონტინენტზე და მიიღო პანდემიის სახე. სწორი, რაციონალური ანტიმიკრობული თერაპია ერთის მხრივ, მნიშვნელოვანი ინტერვენციაა ინფექციების სამკურნალოდ და, მეორე მხრივ, მთავარ იარაღს წარმოადგენს ანტიბიოტიკების რეზისტენტობასთან ბრძოლაში.

„გლობალური ალიანსი“ მხარს უჭერს ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინიციატივას ანტიმიკრობული თერაპიის რაციონალურად გამოყენების თაობაზე და მზად არის, დაეხმაროს აღნიშნული სახელმძღვანელოს პრაქტიკულად გამოყენების საკითხებში.

– ჩვენ მხარს ვუჭერთ ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინიციატივას ანტიმიკრობული თერაპიის რაციონალურად გამოყენების თაობაზე. სენფორდის სახელმძღვანელო პოპულარულია ევროპის ქვეყნებში და ითვალისწინებს ანტიბიოტიკების რაციონალურ გამოყენებას. საქართველოს მთავრობა და ჯანდაცვის სამინისტრო ამ მხრივ მიზანმიმართულ და სწორ ნაბიჯს დგამს და ჩვენ, როგორც „გლობალური ალიანსი“, მაქსიმალურად დავეხმარებით, რომ წიგნი ქართველი პრაქტიკოსი ექიმებისთვისაც ყოველდღიური მოხმარების სახელმძღვანელოდ იქცეს. ის ხელსაყრელი და მიზანშეწონილია, როგორც ცალკეული პაციენტის, ასევე უშუალოდ, ჯანდაცვის სისტემისთვის და რა საკვირველია, ეს მიმართულება იქნება უფრო რენტაბელური და ერთად შევუწყობთ ხელს ანტიმიკრობული თერაპიის რაციონალურად გამოყენებას, – განაცხადა „გლობალური ალიანსის“ პრეზიდენტმა ჟან-ელი მალკინმა.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ვაჟა ოთარაშვილი: „რესპუბლიკელებმა ივანიშვილის რეიტინგი ნულამდე დასცეს“

## „ქართველი ხალხი არ დაუშვებს, რომ ხიდაშელისა და უსუფაშვილის გზით იაროს“

შორენა კოწოწაშვილი

**— რესპუბლიკურმა პარტიამ, ხიდაშელებმა და აგულაშვილებმა ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი, რომელიც წლების განმავლობაში ქველმოქმედებით ჰქონდა მოპოვებული, ნულამდე დასცეს, — აცხადებს პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**ოთარაშვილი იმედოვნებს, რომ ხელისუფლება გონს მოეგება და თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრებს გადააყენებს.**

რა მიზანს ემსახურება ინაშვილისა და მისი მხარდამჭერების შიმშილობის აქცია და რას უნდა ელოდეს ხელისუფლება მათი მოთხოვნის არშესრულების შემთხვევაში? — ამ საკითხების ირგვლივ „ახალ თაობასთან“ ვაჟა ოთარაშვილი საუბრობს.

***— ბატონო ვაჟა, შუალედური არჩევნების შემდგომ ამბობენ, რომ საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლებას მოგება გაუჭირდება და გაყალბება გარდაუვალია.***

— საგარეჯოს არჩევნებმა გვიჩვენა, რომ ხელისუფლებას სააკაშვილის პოლიტიკური ხროვის პოლიტიკური გეზი არ შეუცვლია. ასე გაყალბების, მოსახლეობის ტერორის გზითა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით ატარებს არჩევნებს. ის, რაც საგარეჯოში მოხდა, ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში ყველაზე უმსგავსო და სამარცხვინო აქტია, როდესაც ტერიტორიების 22% წართმეული ქვეყნის თავდაცვის მინისტრი, ქალბატონი ხიდაშელი ცდილობდა, არჩევნები გაეყალბებინა, რასაც წარმატებით მიაღწია თავისი საჯარისო ფორმირებების შეყვანით.

პოეტი ამბობს, რომ 50-ე საარჩევნო უბანი, იგივე სპეცუბანი, მთლიანად არის გაყალბებული. საარჩევნო ბიულეტენები ერთი და იმავე პირის მიერ არის შემოხაზული და ყუთში ჩაყრილი.

— უფრო მეტს გეტყვით, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი ციური ჭინჭარაული საარჩევნო უბანზე საერთოდ არ ყოფილა. როდესაც უჯარმის მე-13 საარჩევნო უბანზე მივედით, იქ აღმოვაჩინეთ ღამის 1-ლ საათზე, სადაც ხმამაღლა ბრძანა, ასეთ უმსგავსობაზე, ოქმზე ის ხელს არ მოაწერდა, სადაც თვითონ არ იყო. იმის მაგივრად, რომ თავდაცვის მინისტრი ქართულ ჯარზე ზრუნავდეს, რომელსაც უამრავი პრობლემა აქვს, ქვეყანას ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა აქვს და, ნაცვლად იმისა, რომ აღდგენის გეგმებს ხაზავდეს, მონაწილეობს არჩევნებში, — აცხადებს ვაჟა ოთარაშვილი.



პოეტის თქმით, ასევე აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში მეორე საჯარო მოხელე, გიგლა აგულაშვილი, რომელიც კარდაკარ დადიოდა და მოსახლეობას ეუბნებოდა, შეშას არ მოგცემ, თუ ხმას პატრიოტთა ალიანსს მისცემთო.

— უფრო მეტს გეტყვით: იორმუღანლოში სათითაოდ დაუარეს მოსახლეობას, პენსიონერებს და აშინებდნენ, ირმა ინაშვილს თუ ხმას მისცემდნენ, პენსიასა და სოციალურ დახმარებას მოუხსნიდნენ.

ვაჟა ოთარაშვილი ამბობს, რომ ყველა სოფლის გამგებელი, რწმუნებულები, მთელი გუბერნია ჩართული იყო არჩევნების გაყალბებაში.

— „ქართულმა ოცნებამ“ გააგრძელა ფაშისტური ნაციონალური მოძრაობის ხაზი. ჩვენ უკვე ვიღებთ რესპუბლიკური პარტიის დიქტატს, რომელიც თავზე მოაჯდა საქართველოს. ფაქტობრივად, ვიღებთ მშვიდობიან გადატრიალებას, როდესაც ქმარი არის პარლამენტის თავმჯდომარე, ცოლი — თავდაცვის მინისტრი.

პოეტი ამბობს, რომ ამაზრზენია, როდესაც თავდაცვის მინისტრი თავის ბიძაშვილს მემკვიდრეობით გადასცემს დეპუტატის წოდებას.

— ასეთი უმსგავსობა კომუნისტების რეჟიმის დროსაც არ გვინახავს, თვით ბრეჟნევის პერიოდშიც კი, — აცხადებს ვაჟა ოთარაშვილი.

პატრიოტთა ალიანსი თინა ხიდაშელისა და გიგლა აგულაშვილის გადაყენებას მოითხოვს.

— ვითხოვთ ამ გამყალბებლების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.

***— ძალიან საეჭვოა, რომ მოშიმშილეთა მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.***

— არაფერი საეჭვო არ არის. ჩვენი პარტიის 40-მდე წევრი შიმშილობს მთავრობის კანცელარიასთან. შიმშილობის აქცია დაიწყო საქართველოს ყველა დიდ ქალაქში, მათ შორის ბათუმში, გორში, საგარეჯოში, სადაც არჩევნები გაყალბდა. ამ ჩვენს მოთხოვნებს თელავი და ზუგდიდიც შემოუერთდება.

ჩვენ ვიბრძვით არა ერთი მანდატისთვის, რომ ირმა ინაშვილი პარლამენტში შევიდეს, არამედ იმისთვის, რომ 2016 წელს საქართველოში არჩევნები სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარდეს. საარჩევნო სისტემა უნდა შეიცვალოს და არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო გახდეს. ქართველი ხალხი არ დაუშვებს, რომ ხიდაშელისა და უსუფაშვილის გზით იაროს. ეს არ არის დემოკრატიული გზა. ეს არის დიქტატურის გზა.

***— ბატონო ვაჟა, თუ თინა ხიდაშელი და გიგლა აგულაშვილი მთავრობის წევრებად დარჩნენ, რა გზას მიმართავს პატრიოტთა ალიანსი?***

— ჯერ ერთი, მთელ საქართველოს მოედება შიმშილობის აქციის ტალღა. იქნება პერმანენტული აქციები, დემონსტრაციები, მიტინგები.

მარტივად გეტყვით: ნაციონალური მოძრაობა იყო სადისტი, სექტა. „ქართული ოცნება“ არის სამარცხვინო კონგლომერატი. ეს არ არის პარტია. მრცხვენია იმ დეპუტატების, რომლებიც ჩემთან ერთად იდგნენ რუსთაველზე, როცა სააკაშვილს ვებრძოდით და დღეს ხმას არ იღებენ; მეორე — ქართველი ჯარისკაცების, ამ ვაჟკაცი ბიჭების ბინძურ პოლიტიკურ საქმეებში გამოყენება არ შეიძლება.

# დავით ლილუაშვილი: „ქობულეთში 20 წლის დაკავებულ პირს გაუპატიურებით ემუქრებოდნენ“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ რამდენიმე დღის წინ ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსმა და პოლიციელებმა ადვოკატ მდინარაძეს სცემეს.**

**უფლებადამცველი დავით ლილუაშვილი ამბობს, რომ ამ შემთხვევამდე ცოტა ხნით ადრე ქობულეთში დაფიქსირდა ანალოგიური შემთხვევა, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ 20 წლის დაკავებული პირის მიმართ გაუპატიურების მუქარა იყო.**

— ამ შემზარავ ფაქტზე მყისიერად მოვახდინე რეაგირება. სოციალური ქსელებით ოფიციალურად მივმართე შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილს, რომ პირად კონტროლზე აეყვანა ეს ფაქტები, ასევე განცხადებით მივმართე მთავარ პროკურატურას, რომ მისმა ხელმძღვანელობამ განახორციელოს მყისიერი, ობიექტური და ეფექტური გამოძიება ამ ფაქტებთან დაკავშირებით, — აცხადებს დავით ლილუაშვილი.

***— რეაგირება იყო?***

— როგორც შსს-ს, ასევე პროკურატურის წარმომადგენლობა შეხვდა ადვოკატ გიორგი მდინარაძესა და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილს, შეჰპირდნენ, რომ იქნება მიუკერძოებელი და ობიექტური გამოძიება, მაგრამ რატომღაც გამოძიება ჭიანურდება.

***— თუ ითქვა, რატომ არ დააპატიმრეს დანაშაულში მონაწილე პოლიციელები?***

— მომხდართან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს ძალიან გაჭიანურებულად, არაეფექტურად, რაც ბევრ კითხვას ბადებს უფლებადამცველებში, მათ შორის, ჩემშიც.

***— ქობულეთის ფაქტთან დაკავშირებით რეაგირება იყო?***



— არა. ადვოკატთან დაკავშირებით უფრო აქტიურად და სწრაფად გამოგვეპასუხა შს სამინისტროსა და პროკურატურის ხელმძღვანელობა. ქობულეთის ინციდენტთან დაკავშირებით მათ საჯაროდ ინფორმაცია არ მიუწოდებიათ.

***— ანუ უცნობია, რა რეაგირება იყო?***

— სამწუხაროდ, უცნობია. მოვუწოდებ მთავარი პროკურატურისა და შს სამინისტროს ხელმძღვანელ პირებს, ამასთან დაკავშირებით განცხადებები გააკეთონ.

ბოლო დროს ტენდენცია შეინიშნება, რომ პოლიციელებს მოენატრათ სააკაშვილის დროინდელი „მუშაობა“, ის ძალადობრივი მოქმედებები, რომლებიც ნაციონალური რეჟიმის დროს ხორციელდებოდა.

დავით ლილუაშვილის განცხადებით, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ შს სამინისტროსა და პროკურატურაში რეფორმები ჩატარდა, მაგრამ ქვედა დონეზე კადრების ცვლილება არ მომხდარა.

***— საინტერესოა, როგორ ხვდებიან მოძალადე პირები სამართალდამცავ სტრუქტურებში?***

— ძველი კადრებია შემორჩენილი.

***— დღეს კიდევ რატომ ბედავენ ისეთი ფაქტების გამეორებას, როგორებიც სააკაშვილის დროს იყო?***

— შეიძლება, ეს იმის ბრალია, რომ შსს-ს ხელმძღვანელობა თავის დაქვემდებარებაში მყოფი კადრების მიმართ ლოიალურია.

***— აგენტურაზე ლაპარაკი რთულია, მაგრამ შეგნებულ ქმედებებს ხომ არ აქვს ადგილი, რომ ხალხი ააჯანყონ?***

— საბოტაჟიც არ არის გამორიცხული. პოლიციელები ასრულებდნენ ნაცმოძრაობის მითითებებსა და დაკვეთას. ნაცმოძრაობას თავისი დასაყრდენი კადრები მაინც დარჩა პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოს სტრუქტურებში.

ქობულეთის ფაქტთან დაკავშირებით შს სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრიდან ჯეროვანი ყურადღება რომ არ იყო, იქაური მოსახლეობა აღელვებულია. არ გამოვრიცხავ, საპროტესტო გამოსვლები დაიწყოს.

***— ხომ არ არის საჭირო მთელი პოლიციის კადრების გადახალისება?***

— ეს საკმაოდ პრობლემური საკითხია, თუმცა საკადრო რეფორმა და პოლიციის რიგების გადახალისება აუცილებელია.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

ეკონომიკა

# კუს ტბის საბაგირო ამოქმედდება

## გამოცხადდა 1-მილიონიანი ტენდერი



მუნიციპალური ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში თბილისის მერია და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ კუს ტბის საბაგირო გზის რეაბილიტაციას გეგმავენ.

პროექტირების ეტაპი უკვე დასრულდა და გუშინ, 12 ნოემბერს, სარემონტო სამუშაოების წარმოებაზე ტენდერი გამოცხადდა.

ტენდერის საერთო ღირებულება 1.100.000 ლარს შეადგენს. გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 210 კალენდარულ დღეში უნდა დაასრულოს და თბილისელებს მაღალი ხარისხის, სრულიად დაცული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბაგირო გზა შესთავაზოს.

სარემონტო სამუშაოების ფარგლებში გარემონტდება ორივე (ქვედა და ზედა) შენობა, დამონტაჟდება ახალი გონდოლებისა და საბაგირო გზის მართვის პულტის სისტემა, მთლიანად შეიცვლება გამწევი ბაგირი, ასევე ახალი საბაგირო გზა სრულიად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

როგორც თბილისის მერიაში აღნიშნავენ, კუს ტბის საბაგირო გზა ზაფხულის პერიოდში მნიშვნელოვნად შეამცირებს მოძრაობას კუს ტბის საავტომობილო გზაზე, რაც აღნიშნულ და მიმდებარე გზებს განტვირთავს.

აღნიშნული საბაგირო 2009 წლის შემდეგ გაჩერებულია.

კუს ტბის საბაგირო გზა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აშენდა, 2009 წელს კი ფუნქციონირება შეწყვიტა. მისი მთავარი დანიშნულება იყო უმოკლესი გზით კუს ტბის დაკავშირება ქალაქის ცენტრთან.

საბაგიროს დამპროექტებელი ცნობილი ინჟინერი ვახტანგ ლეჟავა იყო. მანძილი სადგურებს შორის დაახლოებით 1.140 მეტრს შეადგენს.

ზემო სადგური კუს ტბის ნაპირას, ზღვის დონიდან 700 მეტრზე მდებარეობს.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**

# ტრამპი პუტინს ამართლებს

## ამერიკელი რესპუბლიკელები რუსეთის შესახებ





სამშენებლო მაგნატი დონალდ ტრამპი, რომელიც ცოტა ხნის წინ რესპუბლიკელებს შორის ფავორიტად ითვლებოდა, თავის პოზიციებს ნელ-ნელა თმობს. მისი რეიტინგი 26 პროცენტია, მისი უახლოესი კონკურენტის კარსონისა კი – 26.

გამომდინარე აქედან, ტელედებატებს რესპუბლიკელთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. უკანასკნელი ტელედებატების თემა რუსეთთან ურთიერთობები იყო.

რუსეთის პრეზიდენტი ყველა კანდიდატმა ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენია. გამონაკლისი დონალდ ტრამპი იყო. ის პუტინის გამართლებას ჯიუტად ცდილობდა:

– პუტინს სირიაში ისლამისტი ტერორისტები განადგურება სურს. არ მესმის, რა არის ამაში ცუდი?! – პათეტიკურად აცხადებდა ტრამპი.

სამშენებლო მაგნატი პუტინის პოლიტიკას იწონებს. ის არ იზიარებს შეხედულებას, რომ ახლო აღმოსავლეთში ამერიკის გავლენა ეცემა, რუსებისა კი იზრდება.

– თქვენ გინდათ, რომ ჩვენ ჯარი სირიაში გავგზავნოთ? ამას ვერ დავეთანხმები, – ამბობს ტრამპი.

პრეზიდენტობის კანდიდატები უკრაინის თემასაც შეეხნენ. ყველა ამტკიცებდა, რომ უკრაინისთვის დახმარების აღმოჩენა მნიშვნელოვანია. ტრამპი თავის თანაპარტიელებს არც ამაში დაეთანხმა:

– უკრაინა უმძიმესი პრობლემაა! არ მესმის, ამის ზურგზე წამოკიდება რად გინდათ? უკრაინაზე ევროკავშირმა, მაგალითად, გერმანიამ იზრუნოს! ამერიკას იქ არაფერი ესაქმება, – ფიქრობს ტრამპი.

სხვა რესპუბლიკელი კანდიდატები ამას კატეგორიულად არ დაეთანხმნენ, თუმცა რუსეთის მიმართ ერთიანი პოზიცია არც მათ გააჩნდათ. ასე მაგალითად, ჯეფ ბუშმა სირიის არასაფრენ ზონად გამოცხადება მოითხოვა, რესპუბლიკელი რენ პოლი კი ამას არ დაეთანხმა:

– რუსები სირიაში უკვე დაფრინავენ. თუკი არასაფრენ ზონას გამოვაცხადებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსული თვითმფრინავები უნდა ჩამოვაგდოთ. რა, ომი გინდათ?!

სამაგიეროდ, კარლი ფლორინა ჯეფ ბუშს დაეთანხმა. ისიც ფიქრობს, რომ სირია არასაფრენ ზონად უნდა გამოცხადდეს, სირიელ ოპოზიციონერებს კი ყოველმხრივი დახმარება გაეწიოთ. ფლორინამ კონკრეტული ძალებიც დაასახელა. უწინარეს ყოვლისა, ეს სირიის თავისუფალი არმიაა, რომელიც ვაშინგტონის მხარდაჭერით სარგებლობს.

– აუცილებელია ამ ხალხის თანამედროვე სამხედრო ტექნიკით შეიარაღება! ასევე სირიის მეზობელ სახელმწიფოებსაც სათანადო დახმარება უნდა გაეწიოთ, – ამბობდა ფლორინა.

რესპუბლიკელთაგან ყველაზე რადიკალური სენატორ რუბიოს პოზიცია აღმოჩნდა.

– პუტინი განგსტერია! ის მთლიანად აკონტროლებს რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებასა და ეკონომიკას! ხელისუფლებაში ის კრიმინალური გზით მოვიდა, სიმდიდრეც არაკანონიერად შეიძინა, – თქვა რუბიომ.

სენატორმა როგორც სირიელი პარტიზანების, ასევე უკრაინისადმი სრულფასოვანი დახმარების გაწევა მოითხოვა. ტრამპმა და რენ პოლმა ამას მხარი არ დაუჭირეს.

ამრიგად, რუსეთთან დაკავშირებით რესპუბლიკურ პარტიაში განსხვავებული შეხედულებებია.

**ნიკა თევზაძე**

## აშშ უკრაინას ლეტალურ იარაღს მიაწვდის



აშშ-ის კონგრესმა კვლავ მიიღო დოკუმენტი, რომელიც პრეზიდენტს ავალდებულებს, უკრაინას ლეტალური იარაღი მიაწოდოს.

კერძოდ, საუბარია მომავალი წლის ბიუჯეტზე, სადაც უკრაინისათვის 50- მილიონიანი სამხედრო დახმარების აღმოჩენაა გათვალისწინებული.

– თეთრი სახლი იუწყება, რომ ობამა ბიუჯეტს ხელს მოაწერს, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

## იაროში გადადგა



ცნობილი უკრაინელი პოლიტიკოსი და პარლამენტის დეპუტატი დმიტრო იაროში „მემარჯვენე სექტორის“ თავმჯდომარის პოსტიდან გადადგა.

თავად იაროშმა თავისი განზრახვა ჯანმრთელობის მდგომარეობით ახსნა.

– ფრონტზე მიღებული ჭრილობის შემდეგ თავს კარგად ვერ ვგრძნობ, ვსაჭიროებ მკურნალობას. ამან ჩემი გადაწყვეტილება განაპირობა, – ამბობს იაროში.

## ერაყი: ქურთებმა ისლამისტების პოზიციებზე შეტევა დაიწყეს



ქურთებმა ქალაქ სანჯარზე (ერაყი) შეტევა დაიწყეს.

ეს დასახლებული პუნქტი 2014 წლიდან ისლამისტების კონტროლქვეშ იმყოფება. ქურთებმა მისი დაბრუნება არაერთგზის ცადეს, მაგრამ ამაოდ.

შეტევაში 8.000 ქურთი მებრძოლი და ამერიკული თვითმფრინავები მონაწილეობენ.

## აშშ-მ თურქეთში გამანადგურებლები განათავსა



თურქეთის მთავრობის თხოვნით აშშ-მ თურქეთის ტერიტორიაზე გამანადგურებლების ახალი პარტია განალაგა.

მათი ამოცანა როგორც ისლამისტების, ასევე რუსეთის შესაძლო აგრესიისგან თურქეთის დაცვაა.

## პუტინი: „გამალებულ შეიარაღებაში არ ჩავებმებით“



ცოტა ხნის წინ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი ისეთი იარაღის შექმნაზე მუშაობს, რომელიც ნებისმიერ საჰაერო თავდაცვას გაარღვევს.

მის სიტყვებს ვაშინგტონის მწვავე რეაქცია მოჰყვა. პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, უკრაინას არა მხოლოდ ლეტალური იარაღი უნდა მივაწოდოთ, არამედ იქ ჩვენი ბაზებიც განვათავსოთო. აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გაიზრდება ამერიკული კონტინგენტის რაოდენობა პოლონეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და ბალტიისპირეთში.

– როგორც ჩანს, რონალდ რეიგანი მართალი იყო! რუსების წინააღმდეგ ტოტალური ომია აუცილებელი, – თქვა ობამამ.

ამან ჯეროვანი ზეგავლენა იქონია. რტრ-ის არხზე გამოსვლისას პუტინმა განაცხადა, რომ არავითარ გამალებულ შეიარაღებაში ჩაბმას არ აპირებს, რადგან ეს რუსეთისთვის მიუღებელია.

– რუსეთის ეკონომიკა ამას, უბრალოდ, ვერ გაუძლებს. ეს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს ესმის, – თქვა რუსეთის პრეზიდენტმა.

## ბელარუსში სამი რუსი კაზაკი გაასამართლეს





ბელარუსში სამი რუსი კაზაკი გაასამართლეს.

კაზაკები მიმდინარე წლის ივნისში ბერლინზე ცხენით ლაშქრობაში მონაწილეობდნენ. თავდაპირველად მათი მარშრუტი იყო მოსკოვი-კიევი-ვარშავა, აქედან კი ისინი გერმანიაში უნდა გადასულიყვნენ. უკრაინის მთავრობამ თანხმობა განაცხადა, რათა კაზაკები თავის ტერიტორიაზე გაეტარებინა, თუმცა მოსახლეობა ამას წინ აღუდგა:

– ნებისმიერი კაზაკი, რომელიც უკრაინაში შემოვა, ლიკვიდირებული იქნება!

ზოგიერთმა კაზაკმა გადაწყვიტა, ამისთვის ყურადღება არ მიექცია და უკრაინის ტერიტორიაზე, კერძოდ, ხარკოვშჩინაში, გადავიდა. უკრაინელმა ნაციონალისტებმა ისინი შეიპყრეს, გახადეს შარვალი, გაროზგეს და სანაგვე ყუთში ჩატენეს, შემდეგ ტრუსების ამარა რუსეთში გამოისტუმრეს.

ამის შემდეგ კაზაკებმა პოლონეთში მოხვედრა უკვე ბელორუსის გავლით დააპირეს.

ბელარუსში რუს კაზაკებს პურ-მარილით დახვდნენ. მინსკში ისინი ადგილობრივი სამედიცინო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში მოათავსეს.

სწორედ აქ მოხდა ინციდენტი. ერთ-ერთმა კაზაკმა ამავე ინსტიტუტის სტუდენტი გოგონას ძალით დაუფლება ცადა. გოგონას საქმრო თავის გულისსწორს გამოესარჩლა. კაზაკს მისი ძმაკაცები გამოექომაგნენ, ბელარუს ყმაწვილს – მათი მეგობრები. ატყდა ჩხუბი.

შედეგად მილიციამ კაზაკები დააკავა.

გუშინ კაზაკების სასამართლო დასრულდა. ბელარუსულმა თემიდამ მათ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

## პოლონეთმა, შესაძლოა, რუსეთს ევროსასამართლოში უჩივლოს



პოლონეთის მთავრობა აპირებს, რუსეთს ევროსასამართლოში უჩივლოს. მიზეზი პოლონეთის ექსპრეზიდენტ კაჩინსკის თვითმფრინავის კატასტროფა გახლავთ. ოფიციალურ ვარშავას მიაჩნია, რომ რუსეთი გამოძიებას შეგნებულად აჭიანურებს:

– თვითმფრინავის ნამსხვრევები ჩვენთვის დღემდე არ დაუბრუნებიათ. ეს კი ეჭვს ბადებს, – ამბობს პოლონეთის პრეზიდენტი დუდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



## განცხადებები

### ვასწავლი

- პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

### მკურნალობა

- „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.
- ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.
- სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.
- ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.
- მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.
- გამაჯანსაღებელი, ანტიცელულიტისა და სარელაქსაციო მასაჟი. ტელ: 555-25-95-68.

### იყიდება

- ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

### ნათელმხილველი

- ნათელმხილველი დარეჯანი ისრაელში მუშაობის შემდეგ მიღებას აგრძელებს თბილისში. მიღება წინასწარი ჩაწერით. აქვე მოიხსნით მრავალი სახის პრობლემას. ტელ: 555-75-90-62.

# გიორგი ასანიძე: „3 ლიცენზია არ უნდა გაგვიჭირდეს“



მსოფლიოს ძალოსანთა ჩემპიონატს 21-28 ნოემბერს აშშ-ის ქალაქი ჰიუსტონი უმასპინძლებს. ჰიუსტონში მედლებთან ერთად 2016 წლის რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებიც გათამაშდება.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიორგი ასანიძე ამერიკაში 10 ძალოსანს წაიყვანს. ეროვნული გუნდი 8 ვაჟით და 2 გოგონათი დაკომპლექტდება. გოგონათა გუნდს უკრაინიდან ანასტასია გოტფრიდი დაემატა, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა მიიღო. დოპინგზე ჩავარდნისა და დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა მძიმეწონოსანი ლაშა ტალახაძე.

რიოს ოლიმპიადის ლიცენზიები გასული და ახლანდელი მსოფლიოს პირველობის შედეგების გათვალისწინებით გაიცემა. გუნდების მიერ ნაჩვენები შედეგები დაითვლება და 1-დან მე-6 ადგილამდე გასული ნაკრებები ექვს ლიცენზიას აიღებენ, მე-7-დან მე-12 ადგილამდე გასული გუნდები ხუთ ლიცენზიას, 13-დან მე-18 ადგილის ჩათვლით ოთხი საგზური გაიცემა, ხოლო 19-დან 24-ე ადგილის ჩათვლით სამი.

საქართველოს ნაკრები სალიცენზიო რეიტინგში 27-ე ადგილზეა და უმნიშვნელოდ ჩამორჩება კონკურენტებს. მწვრთნელების მიზანი მინიმუმ 24-ე ადგილზე გასვლა და 3 ლიცენზიის მოპოვებაა.

გიორგი ასანიძე, ძალოსანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

– გუნდმა 5 მოსამზადებელი შეკრება გაიარა – 3 ბაზალეთზე და 2 დუშეთში. ჯამში 120 დღე გამოდის, რაც უმძიმესი დატვირთვაა. ბიჭები დარბაზიდან ლამის საერთოდ არ გასულან. სპორტსმენები როგორ ფორმაში არიან, ამას მსოფლიოს ჩემპიონატი გამოაჩენს. წინასწარ ამაზე საუბარი გამიჭირდება. თუმცა, 3 ლიცენზიის მოპოვება არ უნდა გაგვიჭირდეს.

უხეში გათვლებით, 3 ლიცენზიის ასაღებად 50-55 ქულა გვჭირდება. თუ მძიმეწონოსნები მინიმუმ ათეულში შევლენ, მაშინ გამოდის, რომ სხვა ძალოსნებმა ჯამში 25 ქულა უნდა დააგროვონ, რაც სავსებით რეალურია.

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**

**ვაჟები**: რამინ შამილიშვილი (62 კგ), შოთა მიშველიძე (69), გიორგი ლომთაძე (77), რაულ ცირეკიძე (94), გია მაჭავარიანი, გიორგი ჩხეიძე (ორივე 105), ლაშა ტალახაძე, ირაკლი თურმანიძე (ორივე მძიმე).

**გოგონები**: თათია ლორთქიფანიძე (63 კგ), ანასტასია გოტფრიდი (მძიმე).

# ესტონეთმაც კლასი გვიჩვენა

**ესტონეთი – საქართველო 3:0**

**ტალინი. ლე კოკ არენა**

**1:0 პურიე (61), პიკი (64), გუსევი (88)**

**ესტონეთი**: აკსალუ, პიკკი (გუსევი 65), დმიტრიევი (ლინდპერე 81), პურიე (საპინენი 73), ვასილიევი, კლავანი, იააგერი, მეცი, კალასტე, კამსი (პური 54), ბარანოვი

**საქართველო**: ლორია, კაკაბაძე, გრიგალავა (ჰუფნაგელი 68), კაშია, ამისულაშვილი, კანკავა, ყაზაიშვილი (ბეგლარიშვილი 79), ცინცაძე (დაუშვილი 73), კობახიძე (ჭანტურია 46), ვაწაძე (ცხადაძე 46), ნავალოვსკი (ფოფხაძე 68)



საქართველოს ნაკრები მიწაზე დაეშვა. ის ეიფორია, რომელიც გერმანიის ნაკრებთან თამაშის შემდეგ შეიქმნა გულშემატკივრებსა თუ მედიაში, ესტონეთის ნაკრებმა დაამსხვრია. არადა, გემახსოვრებათ, გერმანელებთან მატჩის შემდეგაც ვიყავით კრიტიკულები, ბალტიისპირელებთან მატჩის შემდეგ კი სასაუბრო ძალიან ბევრია. ცხადია, უფრო უარყოფითი.

ნაკრების მწვრთნელ კახა ცხადაძეს საკადრო პრობლემები ბლომად ჰქონდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნულმა გუნდმა ასეთი უსახური თამაში უნდა აჩვენოს. ამაში მწვრთნელის ხელია დამნაშავე.

ესტონეთის ნაკრებმა სათამაშო კლასით დაგვჯაბნა. თუმცა, ეს არ იყო ერთადერთი კომპონენტი, რაშიც ბალტიისპირელებმა დაგვჩაგრეს. საფეხბურთო განსწავლულობა, ტაქტიკა, ტექნიკა, ფიზიკური მომზადება, ინდივიდუალიზმი – მეტოქემ ყველაფერში დაგვჩაგრა. ბოლო ნახევარი საათი კი საერთოდ კოშმარი იყო. ჩვენები ფეხბურთს არ თამაშობდნენ.

ცხადაძემ ტაქტიკური სქემა არ შეცვალა. სოლომონ კვერკველიას არყოფნაში მესამე ცენტრალური მცველი გია გრიგალავა იყო. გრიგალავა-ამისულაშვილი-კაშიას სამეულს სისწრაფე აკლდა. ფლანგებზე გიორგი ნავალოვსკი ოთარ კაკაბაძე მოქმედებდნენ. საყრდენებად ჯაბა კანკავა და მათე ცინცაძე იყვნენ გამწესებული, ნახევარდაცვის შეტევაში ვაკო ყაზაიშვილი და სანდრო კობახიძე, წინ კი ეული ფორვარდი მათე ვაწაძე იყო.

შემადგენლობაც არ ჩანს შემტევი, თუმცა ცხადაძე შეეცადა პირველ ნომრად თამაშს, ან ამის უფლება ესტონელებმა მისცეს, მაგრამ მხოლოდ საწყისი 10 წუთი. შემდეგ ბალტიელებმა ალღო აუღეს ჩვენს თამაშს და...

ვერ გაამართლეს საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებმა, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენი ჩემპიონატის უსუსურობაში, თუმცა არც ლეგიონერებს მოუწყვეტიათ ვარსკვლავები.

61-ე წუთზე მასპინძლებმა პირველი გოლი გაიტანეს. კაშიამ ბურთი ვერ ამოიტანა, პურიემ კანკავა და ამისულაშვილი დაჯაბნა და ლორიას გაუტანა.

მალევე კიდევ ერთი მარტივი კომბინაცია გაითამაშეს ესტონელებმა. ფლანგზე კაკაბაძე ჩაიკარგა, ცენტრში სამეული და პიკმა მეორე გოლი გაიტანა.

მესამე გოლი შეცვლაზე შესულმა გუსევის იყო, რომელმაც კაკაბაძე გააბრუა და ლორიას ფეხებშუა გაუძვრინა – 3:0.

**კახა ცხადაძე:**

– პირველი, რაშიც წავაგეთ, იყო მოძრაობა და განწყობა. მე ასე მომეჩვენა და პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ. ვერ შევძელი, გუნდი ფსიქოლოგიურად ისე განმეწყო, როგორიც ჰქონდა ესტონეთის ნაკრებს.

ამ თამაშს გამოვიყენებთ იმისთვის, რომ გამოვიტანოთ სწორი დასკვნები და, იმედია, ის ფეხბურთელები, რომლებიც არ გვყავდა, მოკლე ხანში დაგვემატებიან.

# 19 წლამდე ნაკრების მარცხიანი დასაწყისი

**საქართველო – უელსი 0:3 (0:3)**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**0:1 აბრუზესე (34); 0:2 ჯეიმსი (45); 0:3 ჯ. ტომასი (45)**

**საქართველო**: გოშაძე, ახალაძე (კომახიძე 46), ნადარაია, კაკიაშვილი, პაპუაშვილი (გვარაძე 46), მამუჩაშვილი, ალთუნაშვილი, ბიძინაშვილი, არაბიძე, გოშთელიანი, მიქელთაძე (კიკნაძე 71)

**უელსი**: პილინგი, კოქსე, აბრუზესე, გრეჰემი, დევისი, დ.ტომასი, გ.ტომასი (ტიგი 46), მორელი, ჯეიმსი (ჰარისი 85), ბროადჰედი, ჯ.ტომასი (ჰამფრისი 70)

საქართველოს 19 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩი ცუდად ჩაატარა და უელსელ თანატოლებთან 0:3 დამარცხდა. განსაკუთრებით ცუდად ჩვენები დაცვაში გამოიყურებოდნენ, სადაც ბავშვური შეცდომები დაუშვეს.

უელსელებმა მატჩის ბედი პირველსავე ტაიმში გადაწყვიტეს. 45 წუთში ბრიტანელებმა სამჯერ მოახერხეს ოთო გოშაძის კარის აღება.

34-ე წუთზე ანგარიში რაის აბრუზესემ გახსნა, რომელმაც მახვილი კუთხიდან დაარტყა. მეკარე დარტყმის მომენტსა და ბურთს ვერ ხედავდა, მაგრამ ახლო კუთხეში მისი აღება მართებდა.

მომდევნო გოლები უელსელებმა კლასიკური კონტრშეტევებით გაგვიტანეს. ჯერ დანიელ ჯეიმსმა მოჭრილი დარტყმით გაზარდა ანგარიში, შემდეგ კი ჯორჯ ტომასმა არ აპატია დაცვის ცენტრს ჩავარდნა.

შესვენების შემდეგ ვასილ მაისურაძემ ცვლილებებს მიმართა. ამან ოდნავ გააააქტიურა ჩვენი ნაკრები, თუმცა ეს უფრო სტუმრების „დამსახურება“ იყო, რომლებმაც შეგნებულად დათმეს ბურთი, მაგრამ თავს ორგანიზებულად იცავდნენ და მატჩი სასურველ შედეგამდე მიიყვანეს.

ამავე ჯგუფში მიხეილ მესხის სახელობის სათადარიგო მოედანზე გამართულ მეორე მატჩში 9-კაციანმა ავსტრიამ თამაშის მიწურულს გატანილი გოლით ალბანეთი 2:1 დაამარცხა და პირველი ტურის შემდეგ უელსთან ერთად ჯგუფს ლიდერობს.

დღეს მეორე ტურში ავსტრიელები უელსელებს დაუპირისპირდებიან, ხოლო საქართველოს ნაკრები ალბანეთს შეხვდება.

# რეალს რონალდუს შემცვლელად ნეიმარი და ლევანდოვსკი უნდა



რეალიდან რონალდუს შესაძლო წასვლის შესახებ ხმები ხშირად ვრცელდება და გასაკვირი არ იქნება, თუ პორტუგალიელი მადრიდულ გუნდს მართლაც დატოვებს. რაც შეეხება ბენზემა, როგორც ცნობილია, მას რამდენიმე წლით პატიმრობა ემუქრება და რა გასაკვირია, თუ „სამეფო კლუბი“ მის გაყიდვაზე დაფიქრდა.

კატალონიური პრესის ცნობით, ფლორენტინო პერესი ახალი რეალის პროექტს გარეთ ბეილისა და ბარსელონის ვარსკვლავ ნეიმარის გარშემო აგებას აპირებს. ბრაზილიელის ტრანსფერი 190 მილიონი ევრო დაჯდება, მაგრამ პერესისთვის ეს დიდი თანხა არ იქნება იმ შემთხვევაში, თუ ის რონალდუსა და ბენზემას მართლაც გაყიდის.

პრობლემას ის ქმნის, რომ ბარსელონა ყველანაირად შეეცდება ნეიმარი რეალში არ გაუშვას და მადრიდულ გუნდში გადასვლის დიდი სურვილი არც ბრაზილიელს უნდა ჰქონდეს. შეგახსენებთ, რომ იმ დროს, როდესაც ნეიმარი კატალონიურ გუნდში გადავიდა, მას რეალიც იწვევდა და უფრო დიდ ფულსაც სთავაზობდა, მაგრამ ნეიმარმა მაინც ბარსა ამჯობინა.

გარდა ნეიმარისა, რეალი რობერტ ლევანდოვსკის გადაბირებასაც ცდილობს და ამას ფეხბურთელის აგენტიც ადასტურებს:

– სისულელე იქნება, თუ ვიტყვი, რომ მადრიდის რეალთან კონტაქტი არ გვქონია. მეტსაც გეტყვით, რობერტ ლევანდოვსკი ბლანკოსისთვის უკვე დიდი ხანია დიდ ინტერესს წარმოადგენს. ერთია, თუ მადრიდელებს პოლონელი ფორვარდის დამატება სურთ, 50 მილიონ ევროზე მეტი უნდა გადაიხადონ, ვინაიდან ის დღესდღეობით ერთ-ერთი საუკეთესოა და ბაიერნი მხოლოდ იმ შემთხვევაში წამოვა მოლაპარაკებებზე, თუკი სარფიან შეთავაზებას მიიღებს.

ინგლისური მედია წერს, რომ ჩელსის მფლობელი რომან აბრამოვიჩი კრიშტიანო რონალდუსთვის საოცნებო შეთავაზებას ამზადებს.

წინადადება ჯერჯერობით ფორმირების პროცესშია, მაგრამ ინგლისელები წერენ, რომ რუსი ოლიგარქი რონალდუს ისეთ წინადადებას შესთავაზებს, რომელიც არასდროს არც პსჟ-სგან და არც მანჩესტერისგან არ მიუღია.

საქმეს ის ართულებს, რომ რონალდუს პრემიერლიგაში იუნაიტედის გარდა არცერთი გუნდის მაისურის მორგება არ სურს, თუმცა აბრამოვიჩი ბოლომდე აპირებს ბრძოლას და ესპანეთის დედაქალაქში წარმომადგენლები გაგზავნა.

დაგეგმილია შეხვედრა ჟორჟე მენდეშთან, რომელიც კრიშტიანოს აგენტი გახლავთ.

გარდა ამისა, ჩელსის თავკაცი ჟოზე მოურინიო მზად არის, რონალდუსთან მუშაობას დაუბრუნდეს და ის ისეთივე ეფექტური გახადოს, როგორც ადრე გამოიყურებოდა.

# რობენმა და ლევანდოვსკიმ იჩხუბეს

მიუნხენის ბაიერნის ფეხბურთელებმა, არიენ რობენმა და რობერტ ლევანდოვსკიმ ვარჯიშზე წაიჩხუბეს. გერმანული მედიის ცნობით, პოლონელმა ჰოლანდიელს ბურთის დიდხანს თრევის გამო უყვირა და მას ეგოისტი უწოდა.

ვარჯიშის შემდეგ ლევანდოვსკიმ ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთება არ ისურვა, ხოლო რობენმა ძალიან მოკლედ უპასუხა მედიას:

– ეს ფეხბურთია, აქ სხვადასხვა დაბრკოლებას აწყდები. იყო არაერთი სიტუაცია, როცა ლევანდოვსკისაც შეეძლო დრიბლინგის გაგრძელება. ჩვენ ერთმანეთის მიმართ ჯანსაღი კრიტიკა არ უნდა დავინანოთ.

ბაიერნის სპორტულმა დირექტორმა მათიას ზამერმა კი განაცხადა, რომ ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავს იმაში, რომ ფეხბურთელმა თანაგუნდელს პასი არ მისცა.

რეკორდმაისტერის თავკაც პეპ გუარდიოლას განცხადებით კი არიენ რობენის ხასიათის შეცვლა შეუძლებელია.

# იუვენტუსი ლავესისა და ოსკარის შეძენას გეგმავს





ტურინის იუვენტუსისთვის წლევანდელი სეზონი ძალიან მძიმედ დაიწყო. გუნდი ვერ ახერხებს იმ ფეხბურთის ჩვენებას, რომელმაც შარშან იუვეს ამდენი წარმატება მოუტანა.

ამ ყველაფრის გამო იუვენტუსი სერიოზულად აპირებს შემადგენლობის გაძლიერებასა და ახალი ფეხბურთელების შეძენას.

ტურინულ გუნდს ორი კონკრეტული სამიზნეც ჰყავს. ესენი არიან პსჟ-ს არგენტინელი ფორვარდი ესეკილ ლავესი და ჩელსის ბრაზილიელი ნახევარმცველი ოსკარი.

ლავესის არასაკმარისი სათამაშო დროის გამო პსჟ-ს დატოვება სურს, ამიტომ მისი იუვეში გადასვლა სავსებით რეალურია. რაც შეეხება ოსკარს, მისი ტრანსფერი იუვენტუსისთვის შედარებით რთული იქნება, რადგან ჩელსი თავისი ახალგაზრდა ნახევარმცველის გაშვებას არ აპირებს.

ოსკარის სატრანსფერო თანხა 20 მილიონ ევრომდეა.

ბ.გ.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**11 ნოემბერი**

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ესტონეთი-საქართველო | 3:0 |
| **მსოფლიოს ჩემპიონატის კვალიფიკაცია** | |
| **აფრიკა** | |
| მოზამბიკი-გაბონი | 1:0 |
| სუდანი-ზამბია | 0:1 |
| **ეჩ-2017. შესარჩევი ეტაპი (21)** | |
| ხორვატია-სან მარინო | 4:0 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**კალათბურთი**

**12 ნოემბერი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ჩარლოტი-ნიუ იორკი | 95:93 |
| ორლანდო-ლეიკერსი | 101:99 |
| ფილადელფია-ტორონტო | 103:119 |
| ბოსტონი-ინდიანა | 91:102 |
| ატლანტა-ნიუ ორლეანი | 106:98 |
| დალასი-კლიპერსი | 118:108 |
| ზაზა ფაჩულია: 10 ქულა, 10 მოხსნა | |
| ჰიუსტონი-ბრუკლინი | 98:106 |
| მემფისი-გოლდენ სტეიტი | 84:100 |
| დენვერი-მილუოკი | 103:102 |
| საკრამენტო-დეტროიტი | 101:92 |
| პორტლენდი-სან ანტონიო | 101:113 |

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ცოფზე არასწორად ჩატარებულმა აცრებმა შესაძლოა ცოფი გამოიწვიოს?

**ბოლო პერიოდში ადამიანებს არაერთ დაავადებასთან გამკლავება უწევთ. ბევრი მათგანი იმაზე საშიშია, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია. მათ შორის არის ცოფიც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ცოფის წინააღმდეგ უფასო ვაქცინაცია ტარდება, რაბიოლოგი გივი კურტანიძე ირწმუნება, რომ ეს საკმარისი არ არის.**

**„ახალ თაობას“ ამ თემაზე საქართველოს დამსახურებული ექიმი, ღირსების ორდენის კავალერი, უმაღლესი კატეგორიის ქირურგი, ტრავმატოლოგ-ორთოპედი, რაბიოლოგი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი გივი კურტანიძე ესაუბრა.**

**გივი კურტანიძე:**

– წინა წლებში სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური, ჯანმრთელობის, ვეტერინარული, შინაგან საქმეთა, დასუფთავების სამსახურების და პრესის, ტელევიზიის და სანიტარიული თეატრის ერთობლივი ძალისხმევით ცოფის მაჩვენებლები საგრძნობლად გაუმჯობესდა. აცრილთა რაოდენობა იყო 1988 წელს 626 ადამიანი და სიკვდილიანობა კი ნული. 1990 წლიდან მოიშალა ამ სამსახურებს შორის ურთიერთკავშირი და ცოფის მაჩვენებლები მკვეთრად გაუარესდა. დაკბენილთა რაოდენობამ გადააჭარბა 50.000-ს და სიკვდილიანობამ მიაღწია 18-ს. მსოფლიოში დავდექით ბოლო ადგილზე. ამ დროს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი გაზეთის საშუალებით აცხადებს, რომ საქართველო ცოფის დაავადების მონაცემებით მსოფლიოში მესამე-მეოთხე ადგილზე იმყოფება.



***– მინისტრის განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება?***

– ჯერ გაუგებარია, რა მონაცემებით და შემდეგ არასწორია! რა მონაცემებითაც არ უნდა ვიგულისხმოთ, რა ნიშნავს ეს განაცხადი? კარგს თუ ცუდს? თუ ჩვენ კარგი მონაცემებით ვიგულისხმებთ და სათავეში ვდგავართ, არასწორია! და თუ ბოლოდან მესამე-მეოთხე ადგილზე ვდგავართ, ესეც არასწორია. რა მონაცემებს გულისხმობს მინისტრი?

***– აბა, რა არის სწორი?***

– სწორი ის არის, რომ საქართველო ცოფის დაავადების ყველა მონაცემით ბოლოდან პირველ ადგილზე დგას!

***– თქვენ არ გიცდიათ მინისტრთან გასაუბრება?***

– ამ საკითხებთან დაკავშირებით გასასაუბრებლად რამდენეჯერ მივმართე მინისტრის მისაღებს, მაგრამ უარით გამომისტუმრეს. მას მიღების საათები არ აქვსო, იყო პასუხი. ნუთუ მას არ წაუკითხავს ჟან დე ლა ბრიუერის გამონათქვამი: ის ადამიანი მინისტრად არ ვარგა, რომელსაც დღეში ორი საათი თავისუფალი დრო არ აქვს ხალხთან გასასაუბრებლად. ალბათ – არა!

***– ჯანდაცვის სამინისტროში ვერავისთან შეძელით კომუნიკაცია?***

– შემდგომში მიმიღო მისმა ორმა მოადგილემ. პირველად მ. ჯაშმა, რომლის არაადეკვატური პასუხით უკმაყოფილო წამოვედი და შემდეგ პირველმა მოადგილემ ბატონმა დ. მახათაძემ, რომელმაც აღმითქვა დახმარება, მაგრამ ორი კვირის შემდეგ ორივე გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

***– სხვა ინსტანციებისთვის არ მიგიმართავთ?***

– მივმართე განათლებისა და მეცნიერების მინისტრ გიორგი მარგველაშვილს, თურმე არც მას ჰქონია მიღების საათები და მიმღებმა პირმა საკითხი ვერ გადაწყვიტა. ამის შემდეგ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მრჩევლად საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ინიშნება ვინმე ნინო შუბლაძე. მივმართე მასაც, მაგრამ პასუხად დუმილი მივიღე.

***– ბატონო გივი, როგორ უნდა ვებრძოლოთ რეალურად ცოფს?***

– არსებობდა ცოფის საწინააღმდეგო ცენტრი, რომელიც დახურა კერძო პირმა, ვინმე ჯანაშვილმა, რომელმაც შეისყიდა ეს საავადმყოფო, ვინაიდან ცოფს შემოსავალი არ ჰქონდა (აცრები უფასო იყო). მაშინაც ბევრი ვიარე მის აღსადგენად, მაგრამ – უშედეგოდ. ყურადღება არ მომაქცია არც მერიამ და არც სამინისტრომ.

მაწანწალა ცხოველი ბევრია თბილისში! მას მივუმატოთ შინაური ცხოველები (ძაღლი და კატა) და უამრავი ცხოველი გვეყოლება მისახედი. ვიმეორებ, რომ მათი მაკონტროლებელი ორგანოები არ გვყავს.

ჯერ მარტო ის რომ ვიანგარიშოთ, რა უჯდება სახელმწიფოს მარტო აცრები, ძალზე დიდ თანხებზე გავალთ. აცრები წარმოებს ყველა სამედიცინო დაწესებულებაში – არასწორია! რაბიოლოგიური კაბინეტები უნდა იყოს იმ სტაციონარში, რომელსაც აქვს რეანიმაციული და ქირურგიული განყოფილებები და ჰყავთ ნევროპათოლოგი და ალერგოლოგი. ექიმებს უნდა ჰქონდეთ გავლილი სწავლება ცოფზე.

მოგახსენებთ, რომ არასწორად ჩატარებულმა აცრებმა შეიძლება გამოიწვიოს ცოფი. ამავე დროს, საქართველოში აცრები წარმოებს ნაკლებად ხარისხიანი ვაქცინით (ინდური ან ჩინური). რაც შეეხება ხარისხიანს (ფრანგულს), იგი იყიდება აფთიაქებში და ძალზე ძვირია, ყველასთვის მიუწვდომელია. ამრიგად, აცრებით შეგვაქვს უცხო ცილა ორგანიზმში, რაც ბავშვებისთვის განსაკუთრებით საშიშია, ვინაიდან იწვევს ნერვული დაავადებების გართულებას. ასეთი ბავშვები ადრე აგვყავდა აღრიცხვაზე და ვაკვირდებოდით, ახლა – არა.

ფრანგული ვაქცინის შემოტანა-შენახვაზეც ხდება დარღვევები. ვინ აკონტროლებს მათ?! არ ვიცით აცრის შემდეგ გამოუმუშავდებათ ადამიანებს იმუნიტეტი თუ არა. არ გვაქვს ლაბორატორია, რომელიც განსაზღვრავს მას. ასეთი ლაბორატორიის შესაძენადაც ბევრი ვიარე უმაღლეს ინსტანციებში, მაგრამ უშედეგოდ. პასუხი ყოველთვის იყო ერთი და იგივე – ძვირია.

ის თანხები, რომლებიც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მრავალასეულიან კოლექტივს ხმარდება ნახევარიც ეყოფოდა ცოფის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების მოგვარებას.

***– პირადად თქვენ რა გზებს მიმართავთ საზოგადოების ინფორმირებისთვის?***

– გადავწყვიტე, მცირედით მაინც დავხმარებოდი ჩემს ხალხს და დავწერე წიგნი „ცოფი და მასთან ბრძოლა“. ვინაიდან ცოფზე ძალიან მცირეა ლიტერატურა, ვისარგებლე ფრანგული, რუსული და ძირითადად ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის ცოფის განყოფილების დღიურებით.

რაც შეეხება ცოფთან ბრძოლის საკითხებს, ცოფთან ბრძოლის ცენტრი კვლავ უნდა ჩამოყალიბდეს.

**ეკა ირემაშვილი**

## კატების ბარმა პოპულარობა მოიპოვა



ბრიტანეთის ქალაქ ბრისტოლის ცენტრში გაიხსნა ბარი კატებისთვის და ამ დაწესებულებამ ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის პოპულარობა საკმაოდ სწრაფად მოიპოვა.

კატების ბარის მფლობელმა 44 წლის ლიუკ დენიელსმა განაცხადა, რომ მისი დაწესებულების 15-ვე ბინადარი ამ კედლებშია დაბადებული. მისი თქმით, კატების გარემოცვაში ლუდის დალევა ყველა მომხმარებელს მოსწონს, მათ გარდა, რომლებიც ცხოველების ბეწვის მიმართ არიან ალერგიულები.

აღსანიშნავია, რომ ბრისტოლის მცხოვრებლებმა ლუდის ბარი სათანადოდ სწორედ მას შემდეგ დააფასეს, რაც იქ კატები გამოჩნდნენ. მათი თქმით, ბარი უნიკალურ ადგილად იქცა.

## ჩინელი პენსიონერების რეკორდი

18 ათასზე მეტი ჩინელი პენსიონერი მოხვდა გინესის რეკორდების წიგნში. მათ პროვინცია ხებეის მოედანზე იცეკვეს.

ერთნაირ წითელ კოსტიუმებში გამოწყობილი მამაკაცები და ქალები ას-ას ადამიანად დაეწყვნენ რიგებში და სიმღერის თანხლებით სინქრონულად მოძრაობდნენ. ამის ამსახველი წუთნახევრიანი ვიდეორგოლი სოციალურ ქსელში განთავსდა. აღსანიშნავია, რომ რეკორდის დასამყარებლად მთელი პეკინის მოცეკვავეებმა მოიყარეს თავი.

თავდაპირველად ამ ღონისძიებაში 18.472 ადამიანს უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ უცნობი მიზეზების გამო 41 მონაწილე დისკვალიფიცირებულ იქნა. ადრინდელი რეკორდი 2007 წელს აშშ-ში დამყარდა. მაშინ ატლანტაში ერთდროულად 17 ათასმა ადამიანმა იცეკვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**მარინა და ბადრი ფაცაციებს**

ვულოცავთ შვილების

**გვანცა თურმანიძისა და გიორგი ფაცაციას**



ბედნიერებას და ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში, დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, შვილთა სიმრავლეს, წარმატებებსა და უფლის წყალობას.

**სოსო, ჯამბულ და ონისე ფაცაციები ოჯახებით**

## ასტროპროგნოზი
### 13 ნოემბრისათვის



**ვერძი** – დღის პირველი ნახევარი კეთილისმყოფელია, თუმცა ეჭვიანობა და უნდობლობა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ხელს შეგიშლით. **კურო** – საკმაოდ შემოქმედებითი და ნაყოფიერი დღეა. იმისათვის, რომ ყველა ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანოთ, დრო სწორად უნდა გაანაწილოთ. **ტყუპები** – მატერიალური მდგომარეობა მშვენიერია. ბედი გწყალობთ. გამახვილებული ინტუიციის წყალობით სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. გარისკვა რეკომენდებულია. **კირჩხიბი** – ერიდეთ ჩხუბსა და აყალმაყალს. დღე ნეგატიური ტენდენციებით ხასიათდება. ნებისმიერი კომერციული აქტივობა ფინანსური კრახით დამთავრდება. **ლომი** – კარგი დღეა სავაჭრო ოპერაციებისათვის. ცდუნებას ნუ აჰყვებით. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. **ქალწული** – თავს გაუფრთხილდით. ემოციურად დაძაბული დღეა. ბიზნესში აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. მეგობრების რჩევები გაითვალისწინეთ. **სასწორი** – არანაირ ბიზნესშემოთავაზებას არ დათანხმდეთ. წინააღმდეგობრივი, რთული დღეა. შესაძლოა, გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **ღრიანკალი** – გაღიზიანებული და გადაღლილი ხართ. ყოველგვარი შეხვედრა, საქმიანიც და პირადულიც, მომდევნო კვირისთვის გადადეთ. კარგი იქნება ფიზიკური ვარჯიში, მოგზაურობა. **მშვილდოსანი** – კარგი პერიოდია ახალი საქმის დასაწყებად. ენერგიულობა და მიზანდასახულობა თქვენს საქმიანობაზე დადებითად აისახება. გელით საინტერესო მოგზაურობა და სასიამოვნო ნაცნობობა. **თხის რქა** – იზრუნეთ ზნეობრივ სრულყოფილებაზე. კეთილისმყოფელი დღეა. იაქტიურეთ და შედეგს სულ მალე მიიღებთ. რისკი გაამართლებს. ბავშვებთან ურთიერთობისას მეტი სითბო და ტაქტი გმართებთ. **მერწყული** – დღეიდან თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. სიტუაციის მიხედვით იძულებული ხართ, სიმამაცე და სიმტკიცე გამოიჩინოთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **თევზები** – ენერგიულად ხართ. საკუთარი ძალების რეალიზებას სრულიად ახალ სფეროში შეძლებთ. მხედველობას ნუ დაძაბავთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 2. უძველესი აკადემია კახეთში; 3. კარსტული მღვიმე იმერეთში; 4. მდინარე ზუგდიდში; 6. ქართული ლუდი; 8. შანშიაშვილის დრამატული პიესა; 11. დიდი ფართობის ნოყიერი სახნავი მიწა; 12. ფასის დაწევა საქონელზე უხარისხობის გამო; 16. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 17. მკვრივი და დრეკადი იოგი, რომლითაც კუნთი მიმაგრებულია ძვალზე; 18. უმარტივესი, ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ცხოველი.

**თარაზულად**: 1. სირბილი, ცურვა მოკლე დისტანციაზე; 5. ოპტიკური მინა; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 9. დელფინის ერთ-ერთი სახეობა; 10. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 13. შემოწმება მოქმედების სისწორისა და კანონიერების დადგენის მიზნით; 14. დიდი სატრანსპორტო-სამგზავრო გემი; 15. ბრიტანული ტაქსი; 19. უნგრული ჯარის ძველი სახელწოდება; 20. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 21. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 22. სიტყვების წარმოთქმის მანერა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მელაძე; 2. ხუცური; 3. „მალთაყვა“; 4. არღანი; 6. თუთიყუში; 8. ბისონი; 11. კელასური; 12. ბორჯომი; 16. განჯა; 17. კობზა; 18. ვაშლი.

**თარაზულად:** 1. მესხეთი; 5. სიათა; 7. ლაშქარი; 9. ასტურია; 10. კამბუზი; 13. ნარვალი; 14. ფეტიში; 15. „მომა“; 19. აჯამეთი; 20. კოსინუსი; 21. „ნატახტარი“; 22. ტიბეტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხერგიანი; 2. იუნგა; 3. ყაპუზუნა; 4. დიდუბე; 7. არალი; 9. კიურე; 12. კრიტერიუმი; 14. ბულონი; 15. ნუსხური; 17. კანტატა; 20. ომალო.

**თარაზულად:** 5. ცელსიუსი; 6. ორაგული; 8. ვაგნერი; 10. კელასური; 11. ბრეცია; 13. პლანერი; 16. შეწირული; 18. კამეა; 19. „ასაჰი“; 21. უმანკო; 22. ბრისტოლი; 23. გაუტამა.

# ქრისტინე იმედაძე საქართველოდან წავიდა



მომღერალი ქრისტინე იმედაძე საქართველოდან წავიდა. მის მიერ სამშობლოს დატოვებას არაერთი ინფორმაციის გავრცელება მოჰყვა. ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქრისტინე ორსულადაა და ამ მდგომარეობის დასაფარად საქართველო დატოვა.

მომღერალი საფრანგეთში ნინა წკრიალაშვილთან და სტილისტ მიშა გასიტაშვილთან ერთად იმყოფება. ქრისტინემ სოციალურ ქსელში ახალი ფოტოები გამოაქვეყნა და საზოგადოების მხრიდან დადებითი შეფასებები დაიმსახურა. მეგობრებმა და გულშემატკივრებმა ქრისტინეს რადიკალურად განსხვავებული ჩაცმის სტილი მოუწონეს, მაგრამ ბევრ მათგანს მისი ფართხუნა სამოსი თვალში მოხვდა და დაასკვნა, რომ ასეთი სამოსი მომღერალმა ორსულობის დასამალად ჩაიცვა.

თბილისში უკვე დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ მომღერალი ბუბა ქებურიას ვაჟს, თორნიკე ქებურიას ხვდება, რაც თავად ქრისტინემ რამდენიმე სატელევიზიო გადაცემაშიც დაადასტურა და აღნიშნა, რომ შეყვარებულია.

გავრცელებულ ჭორებს ქრისტინე თვითონაც გამოეხმაურა:

— ძალიან საყვარელი ჭორია, არადა, მეგონა, მაგარი პრესი მქონდა, თურმე „ლიპი“ მქონია.

# „მაკდონალდსის“ თანამშრომელი უსახლკაროს საჭმლით აღიზიანებდა

ქალაქ დეტროიტის „მაკდონალდსის“ სწრაფი კვების ერთ-ერთი რესტორნის თანამშრომელი საჭმლით აღიზიანებდა უსახლკაროს, შემდეგ კი მას ჭიქით ცივი წყალი გადაასხა. ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა თვითმხილველმა ინტერნეტში განათავსა.

ინციდენტი შეკვეთების გასაცემი მაკავტოს სერვისის ფანჯრის მახლობლად მოხდა, სადაც ავტომობილით მოსულ მომხმარებლებს ემსახურებიან. „მაკდონალდსის“ თანამშრომელი, რომელიც ფანჯარაში იყურებოდა, თავისთან უხმობს იქვე შორიახლოს მყოფ მამაკაცს და ეძახის: „ვილი, მოდი აქ, სენდვიჩი გინდა?“

როდესაც მამაკაცი ახლოს მივიდა, რათა შეპირებული საჭმელი გამოერთმია, ფასტფუდის თანამშრომელმა მას სახეში ჭიქით წყალი შეასხა. რით იყო ეს საქციელი გამოწვეული, უცნობია.

ინტერნეტში ვიდეოს გამოქვეყნების შემდეგ მან 142 ათასი ნახვა მოაგროვა, რასაც „მაკდონალდსის“ მიმართ ინტერნეტმომხმარებლების მოწოდება მოჰყვა, სამსახურიდან გაათავისუფლონ შეუფერებელი საქციელის ჩამდენი თანამშრომელი.



# სამგლოვიარო განცხადებები

კერძო სკოლა „ხიხანის“ დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თბილისის ვაკე-საბურთალოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ღირსეული წარმომადგენლის, ქალბატონი

**ნანა გოგინაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ძმა კონსტანტინე (ბიჭი) ამაღლობელი, რძალი ლუიზა ტორონჯაძე, ძმისშვილები დავით, თამარ ამაღლობელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბორის (ცუგო) ამაღლობელი**

პანაშვიდი: 13 ნოემბერს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 14 ნოემბერს, 14 საათზე.

მისამართი: ქ.თბილისი, ცაგერის ქუჩა №4 (საბურთალოს ძველ ბაზართან).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# თამარ ივერი სტიქიით დაზარალებულებს დაეხმარება



19 ნოემბერს რუსთაველის თეატრში საოპერო მომღერალი თამარ ივერი საქველმოქმედო კონცერტს გამართავს. მომღერალი კოლეგებთან ერთად 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულებს დაეხმარება.

თამარ ივერის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდი „დაცული საზოგადოება“ წარმოადგენს კონცერტს, რომელშიც მსოფლიო საოპერო ვარსკვლავები მიიღებენ მონაწილეობას.

კონცერტზე დაუკრავს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ორკესტრი, რომელსაც დავით კინწურაშვილი უდირიჟორებს.

საქველმოქმედო კონცერტი 13 ივნისს სტიქიის დროს დაღუპულთა ოჯახების დასახმარებლად გაიმართება. კონცერტიდან შემოსული მთლიანი თანხა გადაერიცხება ფონდის მიერ შერჩეულ იმ ხუთ სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომლებმაც სტიქიის დროს მარჩენალი მშობლები დაკარგეს და ოჯახში მცირეწლოვანი ან არასრულწლოვანი ბავშვები შემოსავლის გარეშე დარჩნენ.

# რობერტ სტურუა თელავის საპატიო მოქალაქეა



რობერტ სტურუას ჯილდოსა და პრემიებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საჩუქარი შეემატა. თელავის მერიამ რეჟისორი საპატიო თელაველის წოდებით დააჯილდოვა.

მასთან ერთად თელაველებმა ეს სტატუსი კიდევ 5 პიროვნებას მიანიჭეს. მათ ეს წოდება საკუთარი მოღვაწეობისა და თელავის წინაშე დამსახურებისთვის მიიღეს.

რობერტ სტურუა ბოლო პერიოდში თელავის თეატრის კონსულტანტია. მისმა ერთ-ერთმა ბოლო ნამუშევარმა „ვინ გატეხა ქოთანი?“ თელავის თეატრს დიდი აღიარება და პროფესიული ჯილდოები მოუტანა.

თელავის მერიის გადაწყვეტილებით, საპატიო თელაველები გახდნენ რეჟისორი რობერტ სტურუა, დირიჟორი გივი მუნჯიშვილი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ვალერიან ელანიძე, მსოფლიო ჩემპიონები ჭადრაკში ლელა ჯავახიშვილი და ბელა ხოტენაშვილი და მსოფლიო ბანკის რეგიონული პროექტების გენერალური მენეჯერი აჰმედ აივედა.

მათ ეს წოდება საკუთარი მოღვაწეობისა და თელავის წინაშე დამსახურებისათვის მიიღეს. რობერტ სტურუამ ქართულ თეატრში ეპოქა შექმნა და ქართულ სასცენო ხელოვნებას მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი.

თელავის საპატიო მოქალაქეები მერიაში შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა შეარჩია.

# ზუმბა: „ერთმანეთს სიმართლე პირში ვუთხრათ“



საცხოვრებლად ამერიკაში გადასული მუსიკოსი და მომღერალი ზუმბა ღია წერილს ავრცელებს და ქართველ საზოგადოებას პირდაპირობისკენ მოუწოდებს.

**ზუმბა:**

— ... მენატრებით. რამდენი რამე მინდა გითხრათ, რამდენი რამ თქვენგან მინდა მოვისმინო... როგორ მსურს, რომ ერთმანეთს სიმართლე ვუთხრათ პირში. ჩვენივე შეცდომებიანად ერთმანეთი კიდევ ერთხელ შევიცნოთ და ვაღიაროთ.

მერე რა, რომ რთული დრო გვიდგას. ვის არ ჰქონია, რა მოხდა, როდის არ ყოფილა? მაგრამ ვინც ეს ქვეყანა, რომელსაც სამშობლო ჰქვია, დღემდე მოიტანა თავისი სულიერი თავგანწირვის თუ სისხლის უკანასკნელი წვეთის ფასად, იქნებ მათი შთამომავლობის ღირსნი ვიყოთ...

და თუ ვთვლით რომ ვართ, იქნებ მეტი ვქნათ იმისთვის, რომ უკეთესნი და ღირსეულნი ვიყოთ?! თუ არ გამოგვდის, ვიპოვოთ მიზეზები, რა გვიშლის ხელს.

თუ არა და არც ეგაა პრობლემა, მრავალი ცივილიზაციანი დაბერებულან და ღირსეულად მიჰკუთვნებიან ისტორიის ფურცლებს.

მოკლედ, ან ხარისხი ან წრეზე ტრიალი გაქრობამდე. მიყვარხართ!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ინდონეზიელ ნარკომოვაჭრეებს ნიანგები უყარაულებენ



ინდონეზიის ნარკოტიკებთან ბრძოლის სააგენტომ გადაწყვიტა, რომ ერთ-ერთ კუნძულზე ააშენოს ციხე, რომელშიც სამუდამო პატიმრობამისჯილებს ნიანგები უყარაულებენ.

სააგენტოს ხელმძღვანელ ბუდი ბასესოს აზრით, მტაცებელი რეპტილიები მოახერხებენ პატიმრების გაქცევის მცდელობის აღკვეთას, მაშინ როდესაც მას ციხის ზედამხედველების პატიოსნებაში ეჭვი ეპარება.

— თქვენ ვერ შეძლებთ ნიანგის მოსყიდვას, ვერ აიძულებთ, გაქცევაში დაგეხმაროთ, — განაცხადა ბუდი ბასესომ.

სააგენტოს ხელმძღვანელმა ასევე დაამატა, რომ ქვეყნის რეგიონებში ჩასვლას გეგმავს „სასტიკი რეპტილიების“ მოსაძიებლად, რომლებიც დასახულ ამოცანას თავს გაართმევენ.

— ჩვენ იმდენად ბევრ ნიანგს განვათავსებთ, რამდენის შესაძლებლობაც იქნება, — აღნიშნა ბასესომ.

ამ მომენტისთვის მომავალი ციხისა და მისი შესაძლო განთავსების ადგილი შემუშავების სტადიაშია.

# სიეტლში საღეჭი რეზინების კედლის გასუფთავება დაიწყეს

ამერიკის ქალაქ სიეტლში ერთ-ერთი ადგილობრივი ღირსშესანიშნაობის, „საღეჭი რეზინების კედლის“ გასუფთავება დაიწყეს.

ადგილობრივი მარკეტ-თეატრის კედელზე, რომელიც მსხვილი ბაზრობის პაიკ-პლეისის მახლობლად მდებარეობს, საღეჭი რეზინების მიკვრის ტრადიცია 1993 წელს დაიწყო. მაყურებლები ასეთი საშუალებით აწებებდნენ მონეტებს კედელზე. დაწესებულების თანამშრომლებმა ორჯერ ცადეს კედლის გაწმენდა საღეჭი რეზინებისგან, მაგრამ ბოლოს ამ განზრახვაზე ხელი აიღეს.

დროთა განმავლობაში „საღეჭი რეზინების კედელი“, ფაქტობრივად, ერთი კედლის ფარგლებს გასცდა. მას ახლა უკვე სხვა კედლებსა და მილებზეც კი აკრავდნენ.

„საღეჭი რეზინების კედელი“ ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად პირველად 1999 წელს მოიხსენიეს. მის მიმართ ინტერესს იჩენენ საქორწინო ცერემონიის მონაწილენი, ტურისტები და ფოტოსურათების გადაღების მოყვარულები.

კედლის წმენდას ორი ადამიანი შეუდგა, რომლებიც დამცავ კოსტიუმებსა და ნიღბებში არიან გამოწყობილნი, ამისთვის კი ორთქლს იყენებენ და არა წყლის ჭავლს. ორთქლის ზემოქმედებით რამდენიმე წლის დაგროვილი საღეჭი რეზინები რბილდება და კედელთან დაგებულ ფოლადის ფირფიტებზე ცვივა. შემდეგში მათ აწონიან და გადაყრიან. ამ პროცესის დასრულება სამ დღეშია დაგეგმილი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# TV პროგრამა

**პარასკევი 13 ნოემბერი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **09.20** ან/ფ. "მადაგასკარის პინგვინები" **10.10** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" . **13.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **14.05** მხ/ფ "**ჯუნიორი**" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**დომბე და ვაჟი**" **3** სერ. **18.05** "სიტყვების თამაში" **10** გად. **18.30, 19.01, 22.00** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" – "ბაზრობა მუშაობს ყოველდღე" – (ბასილია) **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **10** სერ. **23.30** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**ამერიკული ქორწილი**"

**08.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ყალმუხეთის ბუდისტი ბერები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** დ/ფ "ევროპა XX დამალული ეპიდემია" **11.00** დ/ფ "ევროპის შუაგულში" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **22.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია** **23.00** "ნამდვილი დრო" **23.30** მხ/ფ "**21 გრამი**" (ნ.უოტსონი)

**06.00** სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" **07.00** სერ. "**კარმა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** პოლიტიკა **00.00** სერ. "**ჟუმონგი**" **01.45** მხ/ფ "**ნოემბრის კაცი**" (ო.კურილენკო) **03.40** მხ/ფ "**სისხლიანი სპორტი**"

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **22.50** ქერის უბანი **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **13** **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

**06.10** მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.25** სალბუნი **12.10** პორტრეტები **13.15** ბავშვები მუზეუმში **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "ჰელიკონია-სტრიქტა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** კონცერტი **16.10** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.35** მიწათმოქმედი "შუხუთელი აგრონომი" **17.00** ყველაფერი ქორეოგრაფიაზე (დ. კიტია) **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმებიკესანე **20.00** თაობა ზეტი **20.40** ძილი ნებისა "მეფე ლომი და კატა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ღრუბლებს ზევით, წარსულში...." **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** თბილისის ტაძრები "წმ. ნიკოლოზის ტაძარი – ნარიყალა" **00.35** დ/ფ **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** **სერიალი "სხვისი სხეული"** **11.05** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **14.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **16.05** **სერიალი "ტატიანა"** **17.05** **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** **სერიალი "ნადირობა"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** ქართული **სერიალი "ჩვენ გვერდით"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00** **სერიალი "ვანგელია"** **1.30** **სერიალი "ტატიანა"** **2.15** **სერიალი "სიყვარულის იმპერია"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 ნოემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.3982

ევრო — 2.5766

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6381

100 რუსული რუბლი — 3.7173

## ამინდის პროგნოზი 13 ნოემბრისთვის




# გვარდიოლა ბაიერნიდან წასვლას არ აპირებს



მიუნხენის ბაიერნის ხელმძღვანელობამ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ესპანელი სპეციალისტი ხოსეპ გვარდიოლა კიდევ რამდენიმე წელიწადი გუნდში დარჩეს.

როგორც ცნობილი გახდა, გვარდიოლას ახალი კონტრაქტი შესთავაზეს 2018 წლის ზაფხულამდე, რომლის მიხედვითაც ის წელიწადში 17 მილიონ ევროს მიიღებს. გვარდიოლამ ბაიერნი 2013 წლის ზაფხულში ჩაიბარა და მას შემდეგ თავის გუნდთან ერთად ორჯერ ზედიზედ გახდა გერმანიის ჩემპიონი.

მიუხედავად ამისა, გვარდიოლას მუშაობით უკმაყოფილო ადამიანები მაინც არიან, რადგან ბაიერნმა ორჯერ ზედიზედ მტკივნეული მარცხი იწვნია ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალებში, ჯერ რეალისგან, ხოლო შარშან ბარსელონასგან. **ბ.გ.**

# „ჩემი ცოლის დაქალები“ კიდევ ერთმა მსახიობმა დატოვა

გახმაურებული ქართული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ კიდევ ერთმა მსახიობმა დატოვა. ლელა მებურიშვილისა და ეკა ამირეჯიბის შემდეგ სერიალის ახალ სეზონში აღარც რუსთაველის თეატრის მსახიობი დავით გოცირიძე გამოჩენილა, რომელიც ყირმიზას როლს ასახიერებდა.




ყირმიზამ მაყურებელში დიდი პოპულარობა მოიპოვა და მისი ფრაზები საზოგადოების ყოველდღიურ ლექსიკონად იქცა. დავით გოცირიძე სერიალში მსახიობმა რატი ბაქრაძემ ჩაანაცვლა. მაყურებელი უკვე საუბრობს იმაზე, რომ რატი ყირმიზას სათანადოდ ვერ ასახიერებს და ეს როლი დათოს უფრო მეტად უხდებოდა.

„ჩემი ცოლის დაქალებში“ არ ჩანს არც ჯგუფი „გამოუვალი მდგომარეობა“ და ვანიკო თარხნიშვილი. მუსიკოსობა და მომღერლობა ბოლო პერიოდში გიორგი ბახუტაშვილის პერსონაჟმა ცოტნე ცოტაშვილმა დაიწყო. მან გიორგი სუხიტაშვილთან დუეტიც კი ჩაწერა „გრიშაზე“, რომელსაც დღეს ბავშვები გაუჩერებლად მღერიან.

კიდევ რა ცვლილებები იგეგმება „ჩემი ცოლის დაქალებში“, მის პროდიუსერებს წინასწარ დაკონკრეტება არ სურთ, თუმცა მაყურებელს არაერთ მოულოდნელ სიტუაციას ჰპირდებიან.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ფაჩულიას მეოთხე დუბლი

შთამბეჭდავად ჟღერს: ნოვიცკი-ფაჩულიას ტანდემმა აჯობა გრიფინ-ჯორდანის დუეტს და დალასმა 118:108 დაამარცხა დასავლეთ კონფერენციის ერთ-ერთი ფავორიტი კლიპერსი.

ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ზაზა ფაჩულიამ. ქართველმა ცენტრმა 31 წუთი ითამაშა და სეზონის რიგით მე-8 მატჩში მე-4 ორმაგი დუბლი გაიფორმა.

ფაჩულიამ 6-დან 2 ორქულიანი და 8-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. 10 ქულასთან ერთად, ზაზამ 10 მოხსნა, 3 პასი და 2 დაფარება მიითვალა.

შეუდარებელი იყო ფაჩულიას მეწყვილე დირკ ნოვიცკი, რომელმაც 33 წუთში 31 ქულა და 11 მოხსნა დააგროვა.

ამ 2 კალათბურთელის საერთო სარგებლიანობა ბევრად აღემატება გრიფინ-ჯორდანის ტანდემის მონაგარს. 21 ქულა ზოგადად არ არის ცოტა, მაგრამ ნოვიცკის ოპონენტ ბლეიკ გრიფინისთვის, რომელიც მიმდინარე სეზონში საშუალოდ 28 ქულაზე მეტს აგროვებს, ვერაფერი შედეგია.

ფაჩულიას ვიზავი ჯორდანმა 9 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა.

ერთი სიტყვით, თავში ნახსენები დუეტების მონაგარი რომ შევადაროთ, ქულებში 41:30 იგებს ნოვიცკი-ფაჩულია, ხოლო მოხსნებში – 21:20.



**ზაზა ფაჩულია:**

– ყოველი თამაშის წინ მეტოქის შესწავლას მწვრთნელი დიდ დროს უთმობს. კარლაილი ის მწვრთნელია, რომელიც ასეთ რამეებს დიდ ყურადღებას აქცევს. ის ყოველთვის მზადაა თამაშისთვის. ეს დიდი მოტივაციაა კალათბურთელებისთვისაც, რადგან მეც დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ მზად ვარ ისევე, როგორც ჩვენი მწვრთნელი.

მიმდინარე სეზონში ზაზა ფაჩულია თამაშში საშუალოდ 9,9 ქულას, 9,5 მოხსნასა და 1,5 პასს აკეთებს.

4 მოგებითა და 4 მარცხით დალას მავერიკსი დასავლეთ კონფერენციაში მე-8 ადგილზეა. მორიგი მატჩი დალასელებს 14 ნოემბერს შინ მეორე ლოსანჯელესურ გუნდ ლეიკერსთან ელით.

ბექა ბურჯანაძემ საუკეთესო მატჩი ჩაატარა ესპანურ კარიერაში. მეორე ლიგის გუნდ ლეიმა ბასკეტში მოთამაშე 22 წლის ქართველმა ფორვარდმა მორიგი ტურის მატჩში დიდებულად ითამაშა და მის შთამბეჭდავ შედეგიანობას ლაკორუნიელების წაგებული მატჩიც ვერ აუფერულებს.

სტუმრად კასტელოსთან გამართულ შეხვედრაში ბურჯანაძემ 33 ქულა მიითვალა, რაც, სამწუხაროდ, გასამარჯვებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. ლეიმა ბასკეტმა მატჩი მხოლოდ 1 ქულით – 78:79 დათმო.

ბექამ 36 წუთი ითამაშა და 9-დან 6 ორქულიანი, 9-დან 5 სამიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგო. ამ ყველაფერმა მთლიანობაში 33 ქულა შეადგინა, რომელსაც ბურჯანაძემ 9 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიაყოლა.

1 მოგებითა და 6 მარცხით ლეიმა ბასკეტი 16-გუნდიან მეორე ლიგაში მე-14 ადგილზეა. მომდევნო ტურში ლაკორუნიელები პენას ჰუესკას უმასპინძლებენ. **მ. ჟ.**

# ლივერპულს კრისტიან ტელიოს ყიდვა სურს

ლივერპული ზამთარში სერიოზულად აპირებს გაძლიერებას.

მერსისაიდელთა ახალი მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი რამდენიმე ფეხბურთელის ყიდვას გეგმავს. აქედან ერთ-ერთი პორტუგალიური პორტუს თავდამსხმელი კრისტიან ტელიოა.



ტელიო ამჟამად 24 წლის არის და ის პორტუს წამყვან ფეხბურთელად ითვლება. ფეხბურთის გულშემატკივარს ტელიო კარგად ახსოვს ჯერ კიდევ ბარსელონაში გამოსვლის დროს, სადაც კრისტიანმა რამდენიმე წელიწადი დაყო, თუმცა, დიდი კონკურენციის გამო, იძულებული გახდა, კატალონიური გუნდი დაეტოვებინა. ჯერჯერობით ლივერპულს პორტუსთვის კონკრეტული წინადადებით არ მიუმართავს. აღსანიშნავია, რომ ტელიოს შეძენა ფრანგულ მარსელსაც სურს. **ბ.გ.**



## იუმორი

ორი ქალი ჩავარდა ორმოში. ერთი იძახის:

– აქ მგონი ბნელა, არა?!

– არ ვიცი, ვერ ვხედავ.

●●●

დილით კაცს მაგარ „პახმელიაზე“ ეღვიძება და ხედავს, რომ გვერდით ქალი უწევს.

– შენ ვინ ხარ? – ეკითხება კაცი.

– შენი ოცნების ქალი ვარ!

– თფუი ეშმაკს, ასეთზე ნამდვილად არ ვოცნებობდი!

●●●

ახალგაზრდა კომპიუტერთან ზის და ფეისბუქშია შესული. ამ დროს შეტყობინება მოუვიდა:

– რას აკეთებ?

– რომ გითხრა, ბალახს ვთიბავ და მონიტორის უკან ზვინს ვდგამ, დამიჯერებ?!

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემ შეყვარებულს, რომ ვუთხარი შენი დანახვა აღარ მინდა-მეთქი, ადგა და წავიდა...

– მერე?

– ახლა ვზივარ და ვფიქრობ, რა მატლიკინებდა, ვინ მაძალებდა...

●●●

მეგობარი მეგობარს ურეკავს და ეკითხება:

– როგორ ხარ?

– ირგვლივ ყველაფერი კარგადაა და მიხარია.

– შენ შეყვარებული ხარ თუ მთვრალი?

– არც ერთი და არც მეორე!

– აბა, ისე რა ჩემი ფეხები გიხარია?!

●●●

ყინულიანი არაყი – ცუდია თირკმელებისთვის.

ყინულიანი რომი – ცუდია ღვიძლისთვის.

ყინულიანი ჯინი – ცუდია გულისთვის.

ყინულიანი ვისკი – ცუდია ტვინისთვის.

ახლა ვზივარ, ვფიქრობ და ვხვდები, რა მავნე ყოფილა ეს ყინული...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**
**50 ლარი 90-ის ნაცვლად**





- მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- გასაწმენდი ჯაგრისი;
- აკუმულატორი;
- მოჰყვება დამტენი;
- დატენვის ინდიკატორი;
- ბაკების გასასწორებელი;
- ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**45 ლარი 95-ის ნაცვლად**




MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**

1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.



მაღაზია **Stop&Shop**
დარეკეთ წინასწარ! ☎: **2-182-186.**
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
**579 885 996**

**35 ლარად 65 ლარის უმაღლესი ხარისხის ელექტროლეიბები**



გერმანული წარმოების ელექტროლეიბი.... ეკონომიურია და რაც მთავარია აბსოლუტურად უსაფრთხო.... ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.
1) ტემპერატურის მარეგულირებელი 2 სიჩქარე;
2) ზომა 120X160.

**მზის სანათი**



**შეთავაზების აღწერილობა:**

– მზის სანათი საშუალებას მოგცემთ მინიმალური დანახარჯებით მიიღოთ სასურველი განათება ნებისმიერ ადგილას;

– აკუმულატორის დამუხტვა შესაძლებელია შემდეგი წყაროებით: მზის ენერგია, დენის წყარო, ელემენტი და ხელის მოძრაობით;

– აკუმულატორის მუშაობის ხანგრძლივობა: 24 საათი. შეგიძლიათ დატენოთ ნებისმიერი უსბ მოწყობილობა, მობილური, აიპოდი და სხვა.


## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. გემის სრული ტვირთმზიდაობა; 2. მე-19 საუკუნის ფრანგი მათემატიკოსი; 3. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 4. გეომეტრიული ფიგურა; 7. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 9. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 12. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ჯიში; 14. აეროპორტი ტოკიოში; 15. ძვირფასბეწვიან ცხოველებზე მონადირე პროფესიონალი ჩრდილო ამერიკაში; 17. თაფლისგან მომზადებული მათრობელა სითხე; 20. რადიოაქტივობის საზომი ერთეული.

**თარაზულად**: 5. მეცნიერული ნაშრომის მოკლე, წერილობითი შინაარსი; 6. მარნეულის ძველი სახელწოდება; 8. „დედინაცვლის ენად“ წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 10. სამახსოვრო საჩუქარი; 11. საგანგებოდ, განსაკუთრებული წესით დამუშავებული ტყავი, იხმარებოდა საწერ მასალად ძველად; 13. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 16. დუქნის დახლიდარი; 18. ბეჭედში ან ბროშში ჩასმული ქვა, რომელზეც რელიეფურად ამოკვეთილია ჩუქურთმა ან ორნამენტი; 21. ვაჭართა წოდებრივი თანრიგი კაპიტალის რაოდენობის მიხედვით ძველად; 22. ფოლადის კარკასი რკინაბეტონის კონსტრუქციაში; 23. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში.




*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*